# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№10 (10013) 2026 წლის 26 იანვარი, ორშაბათი




იხ. 8 გვ.

## ეს ბოდვა კი არა, სინამდვილეა!

**მესინგის წინასწარმეტყველება: 2026 წლის 26 თებერვალი და 7 სახელმწიფოს ბედი!**




დონალდ ტრამპი:

## აშშ-ს და რუსეთს დღეს ერთი მტერი ჰყავთ — ნატო, იგი გვემუქრება ჩვენ გრენლანდიაში და ემუქრება რუსეთსაც!..

2

ისმინეთ, აკაცუკებო!



## უმეცარი მზია ამაღლობელის მიერ გაწნული სილის იურიდიულ-ფსიქოლოგიური ანალიზი

იხ. 6-7 გვ.

## ან ზელენსკი, ან მილიონობით უკრაინელი!

---

## კომუნალური კატასტროფა კიევში

7

თეა წულუკიანი:



## ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აბსურდული დავა სახელმწიფოს სასარგებლოდ დასრულდება!

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

5

## სტრასბურგის უარი საია-ს

4

## მორიგი ჩაშლილი საბოტაჟი



## ახალი დიპლომატიური ხიდი საქართველოსა და ირანს შორის

9

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი

12

## ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში პროგრამას იტალიელი და ქართველი პროფესორები უძღვებიან



## საქართველოში დღეს 130 ქალი მეზღვაურია!

ნათია ლაბაძე საქართველოში პირველი ქალი კაპიტანი გახდა

12

**ისტორიის გადასახედიდან, უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, საქართველოს დალხენილი ცხოვრება არასოდეს ჰქონია. მისი დღევანდელობაც ძალიან წააგავს ჩვენი წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნის მეორე ნახევრისას — დაუნდობელი ომები მსოფლიო ბატონობისათვის რომისა და სასანიანთა ირანის ძლევამოსილ იმპერიებს შორის და გაუთავებელი ბრძოლების ველად ქცეული საქართველო.**

**ვფიქრობ, არ ვაჭარბებ — რომის იმპერიის როლი დღეს შესანიშნავად აქვს მორგებული ამერიკის შეერთებულ შტატებს. იგი თავისი უპირობო გავლენების სამარადჟამო დამკვიდრებას თითქმის ნახევარ მსოფლიოზე მაინც ცდილობს — მექსიკა, კანადა, სამხრეთ ამერიკისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნები, ჩინეთი, ინდოეთი, ირანი, სირია, პაკისტანი, კუბა... და თვით უკიდურესი ჩრდილოეთის ფაქტობრივად უკაცრიელი უზარმაზარი ყინულოვანი კუნძული გრენლანდია (ტერიტორია 2 166 000 კვ. კმ. მოსახლეობა დაახლოებით 56 000 კაცი. შედარებისთვის: კუბა, მოსახლეობა 11 მლნ. ტერიტორია 109 884 კვ. კმ.).**




**დონალდ ტრამპი:**

**აშშ-ს და რუსეთს დღეს ერთი მტერი ჰყავთ — ნატო. იგი გვემუქრება ჩვენ გრენლანდიაში და ემუქრება რუსეთსაც. ჩვენ შეგვიძლია ვითანამშრომლოთ რუსეთთან და ეს აუცილებლად უნდა გავაკეთოთ.**

# ავი მეზობლის ჭირიმე...

**შეგახსენებთ პრეზიდენტ ტრამპის ერთ გოლოდროინდელ და, ცოტა არ იყოს, უცნაურ განცხადებას: „აშშ-ს და რუსეთს დღეს ერთი მტერი ჰყავთ – ნატო. იგი გვემუქრება ჩვენ გრენლანდიაში და ემუქრება რუსეთსაც. ჩვენ შეგვიძლია ვითანამშრომლოთ რუსეთთან და ეს აუცილებლად უნდა გავაკეთოთ“.**

მისი ეს აშკარად მუქარანარევი განცხადება მოჰყვა ევროკავშირის ქვეყნების „კოლექტიურ შეშფოთებას“ აშშ-ს მიერ გრენლანდიის დასაკუთრების მცდელობაზე. ტრამპი არც ამაზე შეჩერებულა. მისი მრისხანე განცხადების თანახმად, „2026 წლის პირველი თებერვლიდან დანიას, ნორვეგიას, შვედეთს, საფრანგეთს, გერმანიას, გაერთიანებულ სამეფოს, ნიდერლანდებს და ფინეთს დაეკისრება ათპროცენტიანი ტარიფი აშშ-ში გაგზავნილ ნებისმიერ საქონელზე. 2026 წლის პირველი ივნისიდან ტარიფი 25 პროცენტამდე გაიზრდება. ეს ტარიფი გადასახდელი იქნება მანამ, ვიდრე შეთანხმება არ მიიღწევა გრენლანდიის სრული და მთლიანი შეძენის შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატები 150 წელზე მეტი ხანია, ამ ტრანზაქციის განხორციელებას ცდილობს. ახლა აშშ-ის ასობით მილიარდი დოლარი იხარჯება უსაფრთხოების პროგრამებზე. მათ შორის, კანადის დაცვისთვის. ეს უაღრესად კომპლექსური სისტემა მაქსიმალური პოტენციალითა და ეფექტურობით მხოლოდ მაშინ იმუშავებს, თუ მასში ეს მიწა (გრენლანდია) იქნება ჩართული. ამერიკის შეერთებული შტატები დაუყოვნებლივ მზადაა მოლაპარაკებისთვის დანიასთან ან ამ ქვეყნებიდან ნებისმიერთან“.

**როგორც ჩანს, ბატონი ტრამპი ევროკავშირის ქვეყნებიდან ყველაზე მეტად მაინც ნორვეგიაზეა გაცეცხლებული. რამე რომ არ შემეშალოს, ნორვეგიისადმი მის მიმართვას მოვიშველიებ: „თქვენმა ქვეყანამ გადაწყვიტა, ჩემთვის არ მოეცა ნობელის მშვიდობის პრემია. თავს ვალდებულად აღარ მივიჩნევ, მხოლოდ მშვიდობაზე ვიფიქრო“.**

ტრამპის კრიტიკას ისევ ჩვენი არანაკლებ დიდი ალეკო ელისაშვილის კრიტიკა მირჩევნია. მხოლოდ ერთ საგულისხმო ფაქტს გავიხსენებ – მეგობარი აშშ-ის პრეზიდენტზე შეყვარებულმა ვენესუელელმა ქალბატონმა მარია კორინა მაჩადომ მისი ქვეყნის დიდ მოამაგე ბატონ დონალდს თეთრ სახლში საზეიმოდ გადასცა საკუთარი ნობელის პრემია მშვიდობის დარგში. უფრო ზუსტად, გადასცა დიპლომი და ლაურეატის მედალი.

მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნის პრეზიდენტმაც საჩუქარი სიამოვნებით მიიღო, ოღონდ, ამან ნორვეგიისადმი და მთლიანად, ევროკავშირისადმი ბრაზი ვერ გაუნელა.

ვითარება კიდევ უფრო გაამწვავა ევროკავშირის ქვეყნების სიმბოლურმა და, ცოტა არ იყოს, კარიკატურულმა გადაწყვეტილებამ გრენლანდიისადმი შეიარაღებული ძალებით დახმარების თაობაზე: ამერიკული ინტერვენციისგან დასაცავად საფრანგეთმა ნორვეგიაში თავისი 15 ჯარისკაცი მიავლინა, გერმანიამ – 13, შვედეთმა – 3, ნორვეგიამ – 2, ნიდერლანდებმა და ბრიტანეთმა – თითო-თითო!

ძნელი სათქმელია, რისი თქმა უნდოდათ ამით ჩვენს სანატრელ ევროპელ მეგობრებს. მთელ მსოფლიოში და ჩვენთანაც ამის თაობაზე უამრავი, მათ შორის ურთიერთგამომრიცხავი განმარტება გაკეთდა. შორს რომ არ წავიდეთ, მოდი, ჩვენს თანამემამულე პროფესორ ვასილ მაღლაფერიძეს მოვუსმინოთ:

„ჭადრაკში ცუგცვანგი ჰქვია, როდესაც ნებისმიერი სვლა წამგებიანია.

გრენლანდია, ფაქტობრივად, დიდი ხანია ისედაც ამერიკის ტერიტორიაა. იქ მხოლოდ მას აქვს და მომავალშიც ექნება სამხედრო ბაზა და თუ დასჭირდა, ნებისმიერი წიაღისეულის მოპოვებასაც არავის ჰკითხავს. გრენლანდიელები კი მომავალში იცხოვრებენ ისე, როგორც აქამდე ცხოვრობდნენ, ან კიდევ უფრო უკეთესად. სამაგიეროდ „გრენლანდიური ცუგცვანგი“ ძვირი დაუჯდება ევროპის ამჟამინდელ ელიტას, რომელმაც პირველივე ოდნავ კრიტიკულ ვითარებაში გამოამჟღავნა სისუსტე, უპრინციპობა და მიდრეკილება კონფორმიზმისკენ. ამას მათ ამომრჩეველი არ აპატიებს. ვერც ყველა არჩევნების შედეგებს გააუქმებენ“.

მართალია, ჩვენმა მეგობარმა ევროპელებმა არმიები (სულ 35 კაცი!) ძალიან მალე უკანვე გაიწვიეს, მაგრამ ამით დიდი ამერიკელი მეგობრის გული ვერ მოიგეს. მოიგეს კი არა, როგორც ვთქვი, ამ გადაწყვეტილებიდან სულ მალე ტრამპმა ევროკავშირის ქვეყნებიდან აშშ-ში შეტანილ საქონელზე 10-პროცენტიანი გადასახადები დააწესა და ისიც დაპირდა, ივნისიდან ამ ციფრს 25 პროცენტამდე გავზრდიო.

ამასთან დაკავშირებით 18 იანვარს იმსჯელეს ევროკავშირის ელჩებმა. რა გადაწყვიტეს, ვერაფერს გეტყვით. დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მეგობარი ევროკავშირის ქვეყნების წარმომადგენლები ელჩებიან-მინისტრებიან-პრეზიდენტებიან-პრემიერებიანად გამოხატავენ მოკრძალებულ შეშფოთებას წყალგაღმელი დიდი მეგობარი მისტერ ტრამპის, ცოტა არ იყოს, გაუგებარი გადაწყვეტილებების გამო.

კიდევ ერთი ფრიად საინტერესო ფაქტი, განსაკუთრებით ჩვენი ანტირუსი პოლიტიკოსებისთვის: ამერიკის პრეზიდენტმა ახალი მსოფლიო „მშვიდობის საბჭოს“ დაფუძნება გამოაცხადა და ერთ-ერთი პირველი, ვისაც მისი წევრობა შესთავაზა, იყო... ბელარუსის პრეზიდენტი **ალექსანდრ ლუკაშენკო!** ბელარუსის გარდა, ამ ახალ მსოფლიო გაერთიანებაში მიიწვიეს რუსეთი, გერმანია, ფინეთი, ისრაელი, სომხეთი და აზერბაიჯანი. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, უახლოეს მომავალში ეს სია აუცილებლად გაიზრდება.

სხვა არაფერი დაგვრჩენია, ვივარაუდოთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს გრენლანდია (და კიდევ ნახევარი დედამიწა!) მსოფლიოში მშვიდობის შესანარჩუნებლად ჭირდება. ამ კეთილშობილური მიზნის მისაღწევად, ანუ საკუთარი სამხედრო პოტენციალის მიუწვდომელ სიმაღლემდე ასაწევად კი მზადაა ტრილიონობით დოლარი გაიმეტოს.

ვიდრე უშუალოდ საქართველოს სამეზობლოში, კერძოდ, ჩვენს ისტორიულ მეზობელ ირანში განვითარებულ მოვლენებს მივუბრუნდებოდეთ, მოდი, მოლდოვის პრეზიდენტ მაია სანდუს ერთი, ჯერ კიდევ ცინცხალი და, ჩემი აზრით, საოცარი გადაწყვეტილება გავიხსენოთ – მოლდოვის დამოუკიდებელი რესპუბლიკის რუმინეთთან შეერთება! კიდევ უფრო საოცარია ამის თაობაზე ზოგიერთი ქართველი პატრიოტის განცხადება – მოლდოველი და რუმინელი ხალხები ერთი კულტურის, ერთი წარმომავლობისა არიან და ისინი უნდა გაერთიანდნენო.

**ყოვლისმცოდნე პოლიტიკოსებთან შეკამათებას როგორ გავბედავ (თანაც, „რუსეთუმის“ იარლიყის შიშით ვცახცახებ!), მაგრამ ერთი მოკრძალებული კითხვა მაწვალებს: რას ვერჩით მაშინ ვლადიმირ პუტინს – რუსი და უკრაინელი ხალხები ერთი წარმომავლობის, ერთი კულტურის და ერთი ისტორიისა როდის შემდეგ აღარ არიან? ან იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ სტალინამდე დამოუკიდებელი უკრაინული სახელმწიფო გუნებაში ოდესმე არსებობდა, ანუ „კიევსკაია რუს“ უკრაინას ნიშნავს?**

* * *

**უშუალოდ საქართველოს უახლოეს სამეზობლოში შექმნილ ვითარებას დავუბრუნდეთ.**

გასული საუკუნის 20-იანი წლების საქართველოში შექმნილ ვითარებაზე საუბარი, მტყუან-მართლის გარჩევა შორს წაგვიყვანს. ძალიან მოკლედ, ეს იყო უმძიმესი პერიოდი იმჟამინდელი საქართველოს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით. იმედია, რუსეთუმეობაში არ ჩამეთვლება თუ ვიტყვი, რომ თუ არა მაშინდელი საბჭოთა რუსეთი, ეკონომიკურად გაღატაკებულ, პოლიტიკურად არეულ და სამხედრო თვალსაზრისით აბსოლუტურად უმწეო საქართველოს სრული ტერიტორიული კოლაფსი ემუქრებოდა. მეზობელი და მეგობარი სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიულ პრეტენზიებს რომ თავი დავანებოთ, აჭარისა და თითქმის მთელი შავი ზღვისპირეთის მიერთებას ჩვენი დიდი მეზობელი, თურქ-სელჯუკთა იმპერიის მემკვიდრე თურქეთი ცდილობდა.

სწორედ მაშინ, 1921 წლის ოქტომბერში საბჭოთა რუსეთის ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით გაფორმდა „ყარსის ხელშეკრულება“, რომელმაც ბოლო მოუღო გაუთავებელ ტერიტორიულ დავა-კამათს თურქეთს, საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის.

მართალია, ოფიციალურად ხელშეკრულება უვადოა და გადახედვას არ ექვემდებარება, მაგრამ ჩვენი კეთილი მეზობლების, განსაკუთრებით, თურქეთის მხრიდან დროდადრო იწყება არცთუ მოკრძალებული საუბრები ამ ხელშეკრულების გადახედვის აუცილებლობაზე. სამწუხაროდ, ასეთი ვითარებაა დღესაც.

**ვიცი, ბევრ „პატრიოტს“ არ მოეწონება, მაგრამ გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ – ჩვენს კეთილ მეზობლებს, განსაკუთრებით, თურქეთს, ამ ხელშეკრულების უმოქმედოდ გამოცხადებისგან მასზე რუსეთის ხელმოწერა აკავებს.**

* * *

**ორიოდე სიტყვა ირანზე, სადაც დღეს მართლაც ტრაგიკული ვითარებაა.**

**თავისი თითქმის 50-საუკუნოვანი სახელმწიფოებრივი ისტორიის განმავლობაში, ირანს 40-მდე სხვადასხვა დინასტია მართავდა. მათ შორის იყვნენ ელამიდები, აქემენიდები, სასანიდები, ალავიდები, ზიარიდები, ფარსები, სამანიდები, ღაზნევიდები, ილხანები, თემურიდები (თემურ ლენგის შთამომავლები), სეფიანები, ზენდები, ყაჯარები (სწორედ ამ უკანასკნელის წარმომადგენელი იყო ჩვენთვის ავად ცნობილი აღა მაჰმად ხანი 1794-1797 წ.წ.) და ბოლოს – ფეჰლევიანები (1925-1979 წ.წ.).**

როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, საბჭოთა იმპერიის ინტერესებიდან გამომდინარე, ირანის უკანასკნელი სამეფო დინასტიის ხელისუფლების სათავეში აღზევებას (1925 წ.) დიდად შეუწყო ხელი იოსებ სტალინმა. შესაძლოა, ამას უკავშირდებოდეს ლეგენდად ქცეული ინფორმაცია, რომ 1943 წლის ნოემბერ-დეკემბერში ირანის დედაქალაქ თეირანში გამართული „დიდი სამეულის“ (სტალინი, ჩერჩილი, რუზველტი) შეხვედრისას, ირანის შაჰი მუჰამედ რეზა ფეჰლევი სტალინის წინაშე მუხლებზე დაეშვა.

უბრალოდ, ინფორმაციისთვის, გავბედავ და, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ დღევანდელი მსოფლიოს ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით ერთი უდიდესი ქვეყნის, ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ისტორია იწყება 1775 წლიდან. დღეისათვის შიდა არეულობაში ყელამდე ჩაფლული და გარე უმძიმესი საფრთხეებით გარემოსილი

ირანის სახელმწიფოებრივი ისტორია კი 50 საუკუნეს ითვლის.

ბარემ იმასაც შეგახსენებთ, რომ მსოფლიო დემოკრატიის შუქურა აშშ-ში მონობის ინსტიტუტი ოფიციალურად 1865 წელს გაუქმდა. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამ კონსტიტუციურ ცვლილებას ყველა ამერიკელი პლანტატორი მაშინვე დაეთანხმა– მონათმფლობელობა ამ ქვეყნის სახედ კიდევ დიდხანს დარჩა. ისტორიული თვალსაზრისით, 1865 წლიდან დიდი დრო არ გასულა და ამიტომ გასაკვირი სულაც არ არის, თუ ზოგიერთი თანამედროვე ამერიკელი პლანტატორი, მაპატიეთ, პოლიტიკოსი, თუნდაც პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებს ქვეშეცნეულად მონებად თუ არა, თავისი სურვილების უსიტყვო აღმსრულებლად მაინც აღიქვამდეს.

* * *

**ამ უმძიმესი ინფორმაციების შემდეგ, მოდი, ცოტა გამხიარულება ვცადოთ.**

**ცნობილმა აღმოსავლეთმცოდნე-სპარსოლოგმა გუგაზ სანიკიძემ ტელეეკრანიდან კიდევ ერთხელ გაგვანათლა, ქართველი ფავლენიშვილები, შესაძლოა, ირანის უკანასკნელი შაჰი ფეჰლევების შთამომავლები იყვნენო.**

დავით თარხან-მოურავი რომ წინასწარმეტყველ მუჰამედის ჩამომავალი იყო, მიშა სააკაშვილი – ამირა საჰაკისა და ლევან ხაბეიშვილი – ანრი მეოთხე ბურბონისა, ვიცოდი, მაგრამ ჩვენი თვით თინა ბოკუჩავაზეც კი მომხიბვლელი ირაკლი ნაცი–ფავლენიშვილი თუ ირანის შაჰის ტახტის მემკვიდრე იყო, პირველად გავიგე. არ გამიკვირდება, ამბროლაურ-ბუგეულის პრინცი ლევან-მცირე სანიკიძე ერთ მშვენიერ დღეს დედის მხრიდან დიდი ბრიტანეთის მეფე უინძორ-მაუნტბატენების ჩამომავალი და მამის მხრიდან ცხინვალის პრეზიდენტ დიმიტრი სანაკოევის ალალი ბიძაშვილი აღმოჩნდეს.

„გამორიცხული არც არ გახლავთ, რომ ფეჰლევთა დინასტიის ფუძემდებელ რეზა შაჰის (1878-1944 წ.წ.) ულამაზესი ქართველი დედა გუბაზ მძიმე სანიკიძის დიდი ბებია ყოფილიყო! რაც შეეხება ქართველი ფავლენიშვილებისა და სპარსელი ფეჰლევების გვარის წარმომავლობას, იგი, შესაძლოა, ქართულში კარგად ცნობილ უგემრიელეს სპარსულ ნუგბარს, ფაჰლავას უკავშირდებოდეს.

სხვა საქმეა სეფიაშვილების ცნობილი საგვარეულო, რომელსაც ისტორიკოსი სანიკიძე სეფიანთა დინასტიას არ უკავშირებს. ალბათ, ელოდება, როდის შეაღებს ნაცურ კარს თანამედროვე საქართველოს დიდი კომპოზიტორი ჯემალ სეფიაშვილი.

ოჯახური პოლიტიკური მოსაზრების გამო, ამას ჩემს მეუღლე ევას ვერ გავუმხელ, მაგრამ მისი გვარი ხეტეშვილი (ხეთეშვილი) ქართველთა და სპარსთა დიდი წინაპარი ხეთებისგან უნდა მოდიოდეს. მართალია, მისი დიდი გერმანელი პაპის სახელი ვერ დავადგინე, მაგრამ ერთი ბაბო გერმანელი ჰელა ფონ ოლდენბურგი იყო, მეორე – ჯილა მოხევე – ანუთა ჩოფიკაშვილი. არადა, რომ ჰკითხო, თვითონ წმინდა სისხლის ოსია!

* * *

**ჩემდა სამარცხვინოდ, ხელისუფლებებისთვის თავზე ხელის გადასმა დიდად არ მეხერხება, მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას:**

ქართულმა ხელისუფლებამ ვაჟკაცურად გაუძლო ჩვენს შორეულ და ახლო სამეზობლოში, თვით საქართველოში შექმნილ ვითარებას: რუსეთ-უკრაინის ომი და ამ ომში საქართველოს ჩათრევის მცდელობები; ევროკავშირის საქართველოსადმი ცინიკური დამოკიდებულება, აშკარა საგარეო ზეწოლა, „რუსი მტერიას“ ისტერიული კამპანია; სომხეთ-აზერბაიჯანის პრობლემური ურთიერთობები; ამერიკული დისტანცირება, თავად ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის გაუგებარი და ტრაგიკული „თვითშემოქმედება“...

ამით მან საქართველო ბრძოლის ველად გადაქცევას აარიდა და მშვიდობიანი განვითარების პერსპექტივა შეუნარჩუნა.

**მომავალ თაობებს დღევანდელი ხელისუფლების უფრო ობიექტურად შეფასების საშუალება ექნება, ახლა კი მადლობა მას ქვეყნისადმი გაწეული მსახურებისთვის!**



**თეიმურაზ ქორიძე**

22. 01. 2026

---

## სოზარ სუბარი:

# ყოველთვის უნდა ეცადო, დაიცვა შენი ქვეყნის ინტერესი და არა ის, რასაც გარედან გიკარნახებენ!



**შეუძლებელია, პატარა ქვეყანამ საკუთარი პოლიტიკა ბოლომდე გაატაროს და ბოლომდე დაიცვას თავისი ინტერესები, მაგრამ მაინც ყოველთვის უნდა ეცადო, დაიცვა შენი სამშობლო და არა ის, რასაც გარედან გიკარნახებენ და რაც უცხო ქვეყნებისათვის არის საინტერესო,** – ამის შესახებ **„ხალხის ძალის“** თავმჯდომარემ, პარლამენტის ვიცე-სპიკერმა **სოზარ სუბარმა** განაცხადა.

მისი თქმით, დღევანდელ ვითარებაში, ვიდრე სამყაროში ახალი წესრიგი დამყარდება, საქართველომ უნდა შეძლოს თავისი პოლიტიკით სამშვიდობოს გასვლა.

**„ყოველთვის უნდა სცადო, მაქსიმალური სარგებელი წამოიღო ნებისმიერი პოლიტიკური სიტუაციიდან. ჩვენ ამას ვცდილობთ. ეს არის ჩვენი ქვეყნის დღევანდელი პოლიტიკა. პრაქტიკულად, ჩვენ თვალწინ ჩამოიქცა დღემდე არსებული მსოფლიო წესრიგი და ახლა მიმდინარეობს მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება და ახალი წესრიგის ჩამოყალიბება. ეს პროცესი კი, სამწუხაროდ, ბევრი ომისა და სისხლიღვრის გარეშე არ ჩაივლის. ასეთ დროს ხელისუფლებას, პოლიტიკურ სპექტრს, მთლიანად საზოგადოებას განსაკუთრებული სიბრძნე, სიფხიზლე და მობილიზება გვმართებს, რომ მსხვერპლის როლში არ აღმოვჩნდეთ. დღევანდელ ვითარებაში, ვფიქრობ, გაჩნდა შესაძლებლობების ფანჯარა და ჩვენ აუცილებლად შევძლებთ, რომ მშვიდობით გავიდეთ სამშვიდობოს, მანამ, ვიდრე ახალი მსოფლიო გადანაწილება არ მოხდება და სამყაროში ახალი წესრიგი არ ჩამოყალიბდება“...**

მისი თქმით, უკვე წარმატებაა ისიც კი, რომ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ჯო ბაიდენისგან განსხვავებით, საქართველოს ყოველდღიურ რეჟიმში აღარ ახსენებენ.

**„გზა, რომელსაც ჩვენ გავდივართ, დანის პირზე სიარულს ჰგავს. წარმოიდგინეთ, რომ გაგრძელებულიყო ის პოლიტიკა, რომელიც ბაიდენის ადმინისტრაციის დროს იყო: რაც არ უნდა მწვავე პრობლემა ყოფილიყო მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, პირველი სამი საკითხი, რითიც სახელმწიფო დეპარტამენტსა თუ თეთრ სახლში გამართული ბრიფინგები იწყებოდა, საქართველოს ეხებოდა. პრესსპიკერები საქართველოთი იწყებდნენ საუბარს, შემდეგ კი მათ მიერვე შერჩეული ჟურნალისტი აუცილებლად დასვამდა კითხვას საქართველოში მიმდინარე პროცესზე, რასაც ასევე აუცილებლად მოჰყვებოდა საქართველოში არსებული ვითარების ძალიან მკაცრი და კრიტიკული შეფასება, ბოლოს კი ამ შეფასებებს ქართული რადიკალური ოპოზიცია და ოპომედია აიტაცებდნენ და ამით იქმნებოდა ყოველდღიური დღის წესრიგი. ეს ბაკქანალია რომ დამთავრდა, უკვე ძალიან კარგია და ამით ერთგვარი ამოსუნთქვის საშუალება მოგვეცა. დღეს რადიკალ-ოპოზიციონერები ამბობენ – აი, ხელისუფლება ხომ ამბობდა, ტრამპი მოვა და ყველაფერი დალაგდებაო, რატომ არ აქვს ხელისუფლებას ახალ ადმინისტრაციასთან მჭიდრო ურთიერთობა? ჯერ ერთი, ბაიდენის ადმინისტრაციის მიდგომები რომ არ გრძელდება, უკვე ძალიან კარგია; მეორეც, მე არ ვარ ჩახედული გადაწყვეტილებების მიღების სახელისუფლებო კულუარებში, მაგრამ ის ფაქტი, რომ აშშ-ის ახალ ადმინისტრაციასთან არ გვაქვს ყოველდღიური და მჭიდრო კონტაქტი, ასე მგონია, არ არის მხოლოდ იმიტომ, რომ ამერიკული მხარე არ ინდომებს ურთიერთობას. მეჩვენება, რომ საქართველოს ხელისუფლებაც ცდილობს, ზედმეტად არ იაქტიუროს და დღევანდელ ტურბულენტურ გარემოში ეს ალბათ ყველაზე სწორი პოლიტიკაა“,** – განაცხადა **სოზარ სუბარმა.**

---

## გურამ მაჭარაშვილი:

# ევროპელები ჩვენი ლექსიკით ლაპარაკობენ!



**პარტია „ხალხის ძალის“** აღმასრულებელი მდივანი **გურამ მაჭარაშვილი** აცხადებს, რომ ზოგიერთი ევროპელი ლიდერის მიერ გაკეთებული განცხადება ძალიან ჰგავს **„ხალხის ძალის“** მიერ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნებულ წერილებსა და განცხადებებს.

დღეს ევრობიუროკრატია საკუთარ თავზე იმკის იმ უსამართლობას, რაც საქართველოსთან მიმართებით დათესეს.

**„ევრობიუროკრატიამ რა უსამართლობაც დათესა საქართველოსთან მიმართებით, იმას იმკის ახლა საკუთარ თავზე. ჩვენ, „ხალხის ძალამ“ ჯერ კიდევ 2022 წლის 2 ოქტომბერს გამოვაქვეყნეთ წერილი, სადაც მივუთითებდით, რომ ევრობიუროკრატიაში და ამერიკის მაშინდელ ხელისუფლებაში მოკალათებული იყვნენ ადამიანები, რომლებიც უსამართლო ზეწოლას ახორციელებდნენ საქართველოზე.**

**ეს და სხვა მსგავსი საკითხები მაშინ ჯერ კიდევ კულისებში განიხილებოდა. „ხალხის ძალამ“ შეძლო და ეს ყველაფერი გამოიტანა კულისებიდან. სიმართლე ვუთხარით საზოგადოებას. ის, რასაც მალავდა ევრობიუროკრატია, დღეს უკვე გაცხადებულია. როდესაც დღეს ვისმენ ევრობიუროკრატების – ურსულა ფონ დერ ლაიენის, კაია კალასის, საფრანგეთის პრეზიდენტის, გერმანიის კანცლერის განცხადებებს, მგონია, რომ „ხალხის ძალის“ განცხადებებს კითხულობენ. ამას პირდაპირი გაგებით ვამბობ.**

**„ხალხის ძალამ“ ასზე მეტი წერილი გამოვაქვეყნეთ და შეგვიძლია გავუგზავნოთ ამ ბატონებს და ქალბატონებს და ვუთხრათ, რომ ჩვენც ზუსტად იმაზე ვსაუბრობდით, რაზეც ახლა თავად ლაპარაკობენ. მაკრონი ამბობს, რომ თურმე არ შეიძლება საფრანგეთის სუვერენიტეტში ჩაერიოს შეერთებული შტატები; ზოგადად, ევროკავშირის საქმეებში არ უნდა ჩაერიოს ამერიკის შეერთებული შტატები, აშშ-ის პრეზიდენტი თურმე წითელ ხაზებს კვეთს და ა.შ.“ .**

---

## ვასილ მაღლაფერიძე:

# საზოგადოებრივი მაუწყებელი მცდელობას არ დააკლებს, რომ დებატების პროცესი ნორმალურად წარიმართოს

**– „საქართველოს პირველი არხი მუდმივად ცდილობდა დებატების მოწყობას, მათ შორის წინასაარჩევნოდ, მაგრამ სრულფასოვანი დებატი არასდროს გამოვიდა, ვინაიდან საამისოდ მხოლოდ ტელევიზიის სურვილი და მონდომება არ კმარა:**

**ა) დებატების ჩატარების მცდელობას, როგორც წესი, წინ უძღვის დაუსრულებელი მსჯელობა და პრეტენზიები, ვინ ვისთან უნდა დაჯდეს სადებატოდ და, საბოლოოდ, ხშირად ასე ხდება იმიტომ, რომ ეს პროცესი უშედეგოდ დამთავრდეს. მაგალითად, 2024 წლის შემოდგომაზე, არჩევნების წინ, ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ ექვსმა ოპოზიციურმა პარტიამ საბოლოოდ მაინც უარი თქვა დებატებში მონაწილეობაზე;**

**ბ) 2024 წლის 4 დეკემბერს, თითქოს ნავსი უნდა გატეხილიყო, ოპოზიციის ორმა წარმომადგენელმა, თინათინ ხიდაშელმა და პაპუნა ჯანელიძემ თავად მოითხოვეს დებატები საქართველოს პრემიერ-მინისტრთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან, რომლებმაც, თავის მხრივ, თანხმობა განაცხადეს დებატებში მონაწილეობაზე. გაჩნდა მოლოდინი, რომ ამ ერთ დებატს მეორე მოჰყვებოდა და პოლიტიკურ ჯგუფებს შორის დიალოგი დაიწყებოდა.**

**საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე პირველმა არხმა დაუყოვნებლივ შეცვალა სამაუწყებლო ბადე და 4 დეკემბერს 22.00 საათზე დებატები ჩაინიშნა, თუმცა იმავე საღამოს ოპოზიციის წარმომადგენლებმა მოულოდნელად გადაწყვეტილება შეცვალეს და დებატებში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.**

**2025 წლის იანვარში დებატების ჩატარების კიდევ ერთი მცდელობა იყო, ამჯერად ოპოზიციურ პარტიებს შორის, რასაც წინ ასევე ხანგრძლივი მოლაპარაკებები უძღვოდა. თანხმდებოდა ყოვლად უმნიშვნელო ისეთი საკითხებიც კი, რის შესახებაც, წესით, პროდიუსერი უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას. ტელევიზია ამჯერადაც ყველანაირ დათმობაზე მიდიოდა და, მიუხედავად ამისა, თითქმის ბოლო წუთამდე მაინც არ იყო ცნობილი, შედგებოდა თუ არა დებატები.**

**დებატები შედგა, თუმცა მუდმივი შეურაცხყოფის, სიტყვის გაწყვეტინების და ყვირილის ფონზე, ისე რომ მაყურებელს არც ესმოდა, ვინ რას ამბობდა. ამ გადაცემას შედეგად მხოლოდ ის მოჰყვა, რომ შემდგომ დებატებში მონაწილეობაზე ყველა კატეგორიულ უარს აცხადებდა. ეს ის ცუდი გამოცდილებაა, რაც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ და დავძლიოთ.**

**თავის მხრივ, საზოგადოებრივი მაუწყებელი, ისევე როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მზად არის, რომ დაიწყოს დებატები და მცდელობას არ დააკლებს, რომ ეს პროცესი ნორმალურად წარიმართოს“!**

---

## გიორგი გამსახურდია:

# ჩემთვის ამ პოლიტიკურ ძალებთან წარმოუდგენელია საუბარი იმიტომ, რომ მათი მიზანია დამხობა და რადიკალიზმი

**სულ ცოტა ხნის წინ, პრემიერმა გამოთქვა სურვილი და გამოხატა მმართველი გუნდისგან მზაობა, პოლიტიკურ აქტორებს შორის დებატების შესახებ. ეს შეამცირებს პოლარიზაციას და გააჯანსაღებს პოლიტიკურ ველს,** – წერს **გიორგი გამსახურდია** სოციალურ ქსელში.

მისი თქმით, **დრომ დაამტკიცა რომ „ქართული ოცნება” შედეგზე ორიენტირებული, სტაბილური, მომავალზე გათვლილი და პრაგმატული პოლიტიკური გუნდია, მეორე მხარეს კი, პრემიერის ინიციატივის გაჟღერებისთანავე, წამოვიდა სიძულვილის ენის ნიაღვარი, რადიკალიზაციის წახალისება, დებატების აბუჩად აგდება. შესაბამისად, გამსახურდია მიიჩნევს, რომ ამ ოპოზიციურ ძალებთან შეუძლებელია საუბარი, ვინაიდან, მათი მიზანია დამხობა და რადილაკიზმი, პოლიტიკური პროცესის ცივილიზებულ სივრცეში გადატანის ნაცვლად.**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია




# სტრასბურგის უარი საია-ს

# მორიგი ჩაშლილი საბოტაჟი

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, არ დააკმაყოფილოს „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ (საია) რადიკალური მოთხოვნები, ოპოზიციისა და NGO სექტორის კიდევ ერთი დიდი პოლიტიკური მარცხია. სტრასბურგმა საჩივრების ნაწილი დაუშვებლად სცნო, ხოლო არჩევნების ლეგიტიმაციაზე ეჭვის შეტანის მცდელობა პირველივე ეტაპზე ჩაიშუშა. საზოგადოება კიდევ ერთხელ გახდა მოწმე იმისა, თუ როგორ ცდილობენ კონკრეტული არასამთავრობო ორგანიზაციები ქვეყნის იმიჯის დაზიანებასა და არჩევნების შედეგების დელეგიტიმაციას ცრუ ნარატივების მეშვეობით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (ECHR) საია-ს სარჩელის განხილვა დაიწყო, თუმცა პროცესის დასაწყისი ორგანიზაციისთვის მძიმე მარცხით აღმოჩნდა დაღდასმული. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მათი მთავარი მოთხოვნა, რომელიც დროებითი ღონისძიების სახით არჩევნების შედეგების გაუქმებას ეხებოდა. მეტიც, სტრასბურგმა საქმეს პრიორიტეტი არ მიანიჭა და ის სტანდარტული პროცედურით განიხილება, რაც ნიშნავს, რომ საერთაშორისო მართლმსაჯულება ვერ ხედავს ვერანაირ გადაუდებელ საჭიროებას ან მტკიცებულებას, რომელიც 2024 წლის არჩევნების შედეგებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა.

## დამალული მარცხი და სტრასბურგის კითხვები

**მმართველ გუნდში მიიჩნევენ, რომ საია-მ შეგნებულად დაუმალა საზოგადოებას ის ფაქტი, რომ სტრასბურგმა მათ დროებით ღონისძიებაზე უარი უთხრა. იუსტიციის სამინისტროსთვის გამოგზავნილი ოფიციალური შეტყობინებით ირკვევა, რომ სარჩელის ნაწილი სექციის ვიცე-პრეზიდენტმა დაუშვებლად მიიჩნია.**

სასამართლოს მიერ დასმული კითხვები კი პირდაპირ მიანიშნებს, რომ ევროპულ ინსტიტუციას ეჭვი ეპარება მომჩივანთა არგუმენტებში. კერძოდ, საუბარია კონკრეტული მტკიცებულებების არარსებობაზე, საზღვარგარეთ უბნების რაოდენობასა და თავად საია-ს უფლებამოსილებაზე, იდავოს ამ საკითხზე.

იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე **ბექა ძამაშვილი** განმარტავს პროცესის სამართლებრივ მხარეს:



**„საჩივრების ნაწილი შესულია 2024 წლის ბოლოს და ნაწილი – 2025 წლის დასაწყისში, თუმცა ევროპული სასამართლო მას განიხილავს სტანდარტული პროცედურით – დაჩქარების გარეშე. შესაბამისად, მთავრობას მიმდინარე წლის მაისში აქვს ვადა, წარადგინოს საკუთარი პოზიცია, რის შემდეგაც ექნებათ მომჩივნებს შეპასუხების შესაძლებლობა, რის შემდეგაც საბოლოო პოზიციას ისევ საქართველოს მთავრობა წარადგენს. ევროპული სასამართლო დაინტერესდა, რამდენად არსებობს რაიმე მტკიცებულება ხმის უფლების ფარულობის დარღვევასთან დაკავშირებით. ეს გადაწყვეტილება იქნება ასევე პრეცედენტული, რადგან რასაც გადაწყვეტს ევროპული სასამართლო, გავრცელდება ყველა ევროპულ სახელმწიფოზე“**, – განაცხადა მან.

## „სიცრუე და ნახევრად სიმართლე“

**ხელისუფლების წარმომადგენლები ხაზს უსვამენ, რომ საია-ს მცდელობა, წარმოაჩინოს პროცესის დაწყება გამარჯვებად, არის საზოგადოების შეცდომაში შეყვანა.**

**თეა წულუკიანმა** ამ საკითხზე მკაცრი განმარტება გააკეთა:

**„საია-სა და სხვათა სარჩელის დიდი ნაწილი პალატის ვიცე-პრეზიდენტის მიერ დაუშვებლად იქნა ცნობილი. „გავიმარჯვეთ იმის გამო, რომ სტრასბურგის სასამართლომ ჩვენი საჩივრის არსებითი განხილვა დაიწყო“, არის ან სრულად სიცრუე, ან ნახევრად სიმართლე. კოლეგიის ხელმძღვანელმა განიხილა სარჩელი და ნაწილი საია-სა და სხვების სასარჩელო მოთხოვნებისა და პრეტენზიებისა უკვე დღეს ვიცით, რომ არ იქნება არსებითად განხილული, ვინაიდან ისინი ამ სარჩელის ნაწილში უკვე დღეს დამარცხდნენ. საია მალავს იმას, რომ ამ წერილში, რომელიც სახელმწიფომ მიიღო, წერია ის, რომ ამ სარჩელზე, რომელიც ეხება 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებს, ნაწილობრივ – არსებით და დასაშვებობის ნაწილშიც, უკვე დამარცხდა“**, – განაცხადა **წულუკიანმა**.

მისი თქმით, სწორია, რომ სტრასბურგის სასამართლომ საია-ს და სხვათა საჩივრის მხოლოდ ერთი ნაწილის განხილვა დაიწყო. მცდარია ის, რომ მათ რაიმე გამარჯვება მოიპოვეს და მცდარია ისიც, რომ დარჩენილი ნაწილის არსებითი განხილვა დაიწყო.

## საბოტაჟი ქვეყნის წინააღმდეგ

**მიუხედავად იმისა, რომ საია-ს თავმჯდომარე თამარ ონიანი უარყოფს დროებითი ღონისძიების მოთხოვნას და აცხადებს: „საია-ს არ ჰქონია გაგზავნილი დროებითი ღონისძიების მოთხოვნა“, უმრავლესობაში ამას მორიგ თავის მართლებად მიიჩნევენ.**

„ხალხის ძალის“ წევრი **თამთა მეგრელიშვილი** სოციალურ ქსელში პირდაპირ საუბრობს დაგეგმილ საბოტაჟზე:



**„ეს არის უდიდესი სკანდალი! დღეს ირკვევა, რომ უცხოეთიდან დაფინანსებული საია 2024 წელშივე ითხოვდა სტრასბურგში, საპარლამენტო არჩევნების შედეგების გაუქმებას დროებითი ღონისძიების სახით, რაზეც მიიღო სასტიკი უარი. არც კი განიხილა სასამართლომ ეს მოთხოვნა. საია-მ დამალა ეს უარი, ეს მარცხი დამალა და ქართველ ხალხს არ უთხრა, რომ სტრასბურგის სასამართლომ ეჭვიც კი არ შეიტანა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების ლეგიტიმაციაში. ეს არის ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული საბოტაჟი – უნდა გაირკვეს, ვინ იდგა ამ გადაწყვეტილების უკან, ვინ დამალა ეს ამბავი და როგორ მისცა პროცესებს რადიკალიზაციის საშუალება!“**, – განაცხადა **მეგრელიშვილმა**.

## საია-ს სამართლებრივი ფიასკო და დამალული სიმართლე



**ანალიტიკოსი ედიშერ გვენეტაძე სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას საია-სა და რადიკალური ოპოზიციისთვის „ცივ შხაპს“ უწოდებს.**

მისი თქმით, ის ფაქტი, რომ ორგანიზაციამ დროებით ღონისძიებაზე უარი და საჩივრების ნაწილის დაუშვებლობა დამალა, პირდაპირ მიანიშნებს მათ მავნებლურ ბუნებაზე.

**„ის, რაც დღეს სტრასბურგიდან შევიტყვეთ, არის ე.წ. მესამე სექტორის სრული ლუსტრაცია. საია, რომელიც წლების განმავლობაში თავს სამართლის ეტალონად ასაღებდა, ჩვეულებრივ დეზინფორმატორად მოგვევლინა. მათ საზოგადოებას დაუმალეს უმთავრესი სტრასბურგის სასამართლომ პირველივე ეტაპზე უთხრა უარი არჩევნების შედეგების გაუქმებაზე და საჩივრების დიდი ნაწილი პირდაპირ სანაგვეზე მოისროლა, როგორც დაუშვებელი.**

**რატომ დამალეს? იმიტომ, რომ მათთვის მთავარია არა სამართალი, არამედ ქვეყანაში არეულობისა და ნიჰილიზმის დათესვა. მათ კარგად იცოდნენ, რომ ეს სარჩელი სამართლებრივად მკვდრადშობილი იყო, თუმცა პოლიტიკური დაკვეთის გამო, მაინც წავიდნენ ამ ავანტიურაზე“.**

მისივე თქმით, ეს გადაწყვეტილება არის პირდაპირი მინიშნება იმაზე, რომ ევროპულ სასამართლოს არცერთი წამით არ შეჰპარვია ეჭვი 2024 წლის არჩევნების ლეგიტიმურობაში. როდესაც სასამართლო არ ანიჭებს საქმეს პრიორიტეტს და სტანდარტული პროცედურით განიხილავს, ეს ნიშნავს, რომ იქ არანაირი კრიზისი და დარღვევა არ არსებობს. საია-მ ეს ბრძოლა უკვე ნაწილობრივ წააგო და დარჩენილი ნაწილიც იმავე შედეგით დასრულდება.

**„შეიძლება ითქვას, რომ ამით წერტილი დაესვა ყოველგვარ სპეკულაციას 2024 წლის არჩევნების გარშემო. სტრასბურგმა, ფაქტობრივად, დაადასტურა, რომ ქართველი ხალხის ნება ურყევია, ხოლო საიას მცდელობა, ქვეყნის გარედან მოეხდინა არჩევნების დელეგიტიმაცია, სამარცხვინო კრახით დასრულდა. ეს არის მორიგი მყარი დასტური იმისა, რომ საქართველოში ხელისუფლება იცვლება მხოლოდ არჩევნების გზით და არა უცხოური გრანტებით დაფინანსებული ორგანიზაციების ფუჭი სარჩელებით“**, – აცხადებს **ედიშერ გვენეტაძე**.

ლიკა ბერიკაშვილი

**თეა წულუკიანი:**

## საია-სა და სხვათა სარჩელის დიდი ნაწილი სტრასბურგის სასამართლომ დაუშვებლად ცნო და არავითარი არსებითი განხილვა აღარ შედგება!

# ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აბსურდული დავა სახელმწიფოს სასარგებლოდ დასრულდება!



**წულუკიანი გამოეხმაურა „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომ სტრასბურგის სასამართლომ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით საჩივრების განხილვა დაიწყო.**

**„სამწუხაროდ, საია-სგან და არაერთი პირისგან მოვისმინეთ არაერთი ტყუილი ან ნახევარსიმართლე. იმ წერილში და საჯარო დოკუმენტებში, რომლებიც საქართველოს სახელმწიფომ სტრასბურგის სასამართლოსგან მიიღო, ცალსახად წერია, რომ საია-სა და სხვათა სარჩელის დიდი ნაწილი პალატის ვიცე-პრეზიდენტის მიერ დაუშვებლად იქნა ცნობილი. საუბარი არ არის დროებით ღონისძიებაზე, ამ შემთხვევაში საუბარია, რომ სასამართლოს შესაბამისი კოლეგიის ხელმძღვანელმა განიხილა სარჩელი და საია-სა და სხვების სასარჩელო მოთხოვნების, პრეტენზიების ნაწილი არ იქნება არსებითად განხილული. ისინი სარჩელის ნაწილში დღეს უკვე დამარცხდნენ. ანუ საია მალავს, რომ უკვე დამარცხდა იმ სარჩელის ნაწილობრივ არსებით ნაწილში, დასაშვებობის ნაწილში, რომელიც 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებს ეხება. ეს წერია წერილში, რომელიც სახელმწიფომ მიიღო. ვნახე საია-ს განცხადება, რომ გავიმარჯვეთ, რადგან სტრასბურგის სასამართლომ ჩვენი საჩივრის არსებითი განხილვა დაიწყოო. ეს არის სრულად სიცრუე ან ნახევრად სიმართლე. როგორც პატივცემული ღვინჯილია იტყოდა, სწორია, რომ სტრასბურგის სასამართლომ საია-სა და სხვათა საჩივრის მხოლოდ ერთი ნაწილის განხილვა დაიწყო; მცდარია, რომ მათ რაიმე გამარჯვება მოიპოვეს. ასევე მცდარია, რომ დარჩენილი ნაწილის არსებითი განხილვა დაიწყო. იურისტებს კარგად ესმით, მაგრამ სხვებისთვის განვმარტავ, რომ სარჩელის არსებითი განხილვა ვერ იქნება დაწყებული, თუ დასაშვებობის საკითხი არ არის გადაწყვეტილი“,** – განაცხადა **თეა წულუკიანმა.**

ამასთან, თეა წულუკიანმა განმარტა, რა სახის კითხვებით მიმართა სტრასბურგის სასამართლომ მხარეებს.

**„საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა, რომ მხარეებს უსვამს შეკითხვებს სასამართლო. როგორც წესი, განხილვის ამ ეტაპზე მხოლოდ მთავრობას უსვამენ შეკითხვას სტრასბურგიდან. ამ შემთხვევაში კითხვები ისმის ორივე მხარისადმი. ჩვენთვის, როგორც სახელმწიფოსთვის, საინტერესოა კითხვების ის ნაწილი, რომელსაც სტრასბურგის სასამართლო სწორედ საია-ს უსვამს. ალბათ საია-მ დღეიდან უნდა იფიქროს წარმომადგენლის ან ადვოკატის გამოცვლაზე, რათა უკეთესად იყოს მისი ინტერესები დაცული. კერძოდ, საია-ს სტრასბურგის სასამართლო ეკითხება, ხარ თუ არა უფლებამოსილი პირი, როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია, რომ ჩემ წინაშე ჩივი საპარლამენტო არჩევნების შესახებო. ეს ძალიან მნიშვნელოვანი კითხვაა. ჩემი პირადი მოსაზრებაა, რომ საია-ს საჩივარი ამ ნაწილშიც დაუშვებელია, ვინაიდან საქმე გვაქვს შემთხვევასთან, როდესაც ორგანიზაცია ან ადამიანი ჩივის არა საკუთარი, არამედ სხვისი უფლებების დარღვევაზე. ამას კრძალავს სტრასბურგის ევროპული კონვენცია, რასაც ეფუძნება სტრასბურგის სასამართლო. ვნახოთ, რას იტყვის თვითონ სასამართლო, მაგრამ საკუთრივ კითხვაა ამ მხრივ მნიშვნელოვანი.**

**არის კიდევ ერთი საგულისხმო შეკითხვა სახელმწიფოს მოწინააღმდეგე მხარისადმი, კონკრეტული ინდივიდებისადმი. ზოგი ცხოვრობს ნიუ ჯერსიში, ზოგი – მაიამიში, ოთხი თუ ხუთი მომჩივანია ინდივიდის სახით წარმოდგენილი, ფიზიკური პირი. მათ ეკითხება სტრასბურგის სასამართლო, გაქვთ თუ არა რაიმე ტიპის მტკიცებულება იმასთან დაკავშირებით, რომ თქვენი ხმის ფარულობა დაირღვა? ასევე მიჩნდება კითხვა, თუ ჩივი იმაზე, საარჩევნო უბანი არ მქონდა და ხმა ვერ მივეციო, მაშინ არმიცემული ხმის ფარულობა როგორ დაირღვა? სტრასბურგის სასამართლოში ზოგადად ხომ არ ვიხილავთ რაღაც განზოგადოებული უფლებების დარღვევას, ვიხილავთ კონკრეტული პიროვნების უფლებების დარღვევას. ვთქვათ, ჩავთვალოთ, რომ ასეთ შემთხვევაში კითხვა თუ საჩივარი, პრეტენზია სამართლიანია, თვითონ სტრასბურგის შეკითხვა მათ მიმართ არის ძალიან საგულისხმო. ვვარაუდობ, რომ ამ წუთამდე ვერავითარი მტკიცებულება ვერ წარადგინეს და სტრასბურგის სასამართლო კიდევ ერთხელ ეკითხება, მომეცით მტკიცებულება, რომ თქვენი ხმის ფარულობა დაირღვაო.**

**რაც შეეხება მთავრობის ნაწილში შეკითხვებს, მხოლოდ ორი კითხვაა, დანარჩენი კითხვები მოხსნილია და დაუშვებლად არის ცნობილი ვიცე-პრეზიდენტის მიერ. ორადორი კითხვაა, როგორ იყო მოწყობილი ელექტრონული ხმის მიცემის სისტემა და იძლეოდა თუ არა ის საშუალებას, ფარულობა ყოფილიყო დარღვეული? დარწმუნებული ვარ, ამაზე იუსტიციის სამინისტროს და იმ ძალიან კომპეტენტურ ხალხს, ვინც საერთაშორისო დავებზე მუშაობს, ექნება ბევრი და რკინის არგუმენტები, დაწყებული აუდიტორული დასკვნებიდან, გაგრძელებული პრაქტიკული მაგალითებით, რომ არავითარი ფარულობის დარღვევა არ მომხდარა. ამაზე იდავებენ მხარეები და სტრასბურგი თავის კომპეტენტურ სიტყვას იტყვის; მეორე კითხვა ეხება, უცხოეთში მყოფ ოთხ კონკრეტულ მომჩივანს, რომელთაგან ერთი ცხოვრობს სტრასბურგში, მეორე – ესპანეთში, მესამე – მაიამიში, მეოთხე – ნიუ ჯერსიში, ამ ოთხ ადამიანს ჰქონდა თუ არა ახლომახლო უბანი, რათა ხმა მიეცათ? ამაზეც ჩვენ ძალიან კარგად ვუპასუხებთ. თავად ვცხოვრობდი 12 წელი სტრასბურგში და ხმის მისაცემად დავდიოდი პარიზში. შესაბამისად, არასდროს დამიჩივლია, სტრასბურგიდან პარიზში ვერ გადავაადგილდები-მეთქი. როგორც ჩანს, იქ სხვა პრობლემები იყო, თუ საერთოდ იყო.**

**მოხარულნი ვართ, რომ საია-სა და სხვათა სარჩელის დიდი ნაწილი უკვე დაუშვებლად იქნა ცნობილი და არავითარი არსებითი განხილვა აღარ შედგება. ხოლო იმ ნაწილში, რაზეც ვიწყებთ განხილვას, არავითარი დასაშვებობის საკითხი გადაწყვეტილი არ არის. ანუ, ტყუილია, რომ არსებითი განხილვა დაიწყო. ჯერ დასაშვებობის საკითხი იქნება განხილული და არსებითი საკითხიც გადაწყდება. ერთად გადაწყდება ეს ორი საკითხი. მოხარული ვართ და პირადად მე მივესალმები, რომ ერთხელ და სამუდამოდ მსოფლიოში ყველაზე კომპეტენტური საერთაშორისო სასამართლო ამ ყბადაღებულ საკითხებს განიხილავს. დარწმუნებული ვარ, თავის კომპეტენტურ სიტყვას იტყვის და ერთხელ და სამუდამოდ დასრულდება ეს დავა. სტრასბურგის სასამართლო საქართველოში დღემდე შეუბღალავი რეპუტაციითა და დიდი კომპეტენციით სარგებლობს“...**

## ჯანსაღი დისკუსიაც აუცილებელია და დამნაშავეების მალე გამოვლენაც!

**პარტია „ერთიანი ნეიტრალური საქართველო“ მზადყოფნას გამოთქვამს, მონაწილეობა მიიღოს საჯარო დებატის ფორმატებში, რომლებსაც შექმნის ქართული მედია ან ხელისუფლება სამთავრობო თუ საპარლამენტო დონეზე,**

– ამის შესახებ პარტიის განცხადებაშია აღნიშნული.

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, წლების განმავლობაში შეზღუდული იყო ხელისუფლებასთან ოპონირებისა და ალტერნატიული აზრის გამოხატვის სივრცე, რადგან ქვეყანა იმყოფებოდა პერმანენტულ რევოლუციურ რეჟიმში.

**„პარტია „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ შექმნის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ქართული პოლიტიკური სისტემის გაჯანსაღებაა. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია, ქართველ ხალხს მომდევნო არჩევნებზე მიეცეს შესაძლებლობა, არჩევანი გააკეთოს არა უცხო ძალების აგენტურის რევანშის შეკავების აუცილებლობიდან გამომდინარე, არამედ პოლიტიკური პარტიების მიერ შეთავაზებული ხედვებისა და პროგრამების მიხედვით. სამწუხაროდ, წლების განმავლობაში შეზღუდული იყო ხელისუფლებასთან ოპონირებისა და ალტერნატიული აზრის გამოხატვის სივრცე, რადგან ქვეყანა იმყოფებოდა პერმანენტულ რევოლუციურ რეჟიმში. ხელისუფლებას ოპონირება უწევდა უცხო ქვეყნების და გაერთიანებების წარმომადგენლებთან, რომლებიც ღიად და უხეშად ერეოდნენ ჩვენი ქვეყნის შიდა პოლიტიკურ პროცესებში.**

**დებატისთვის საუკეთესო პლატფორმა საკანონმდებლო ორგანოა, რომელიც ამ ფუნქციას ვერ ასრულებს, რადგან ბარიერგადალახული ოთხი პარტიიდან სამმა, ქვეყნის გარედან მიღებული დავალების შესაბამისად, უარი თქვა პარლამენტში შესვლაზე. ცხადია, იმ პირობებში, როდესაც ერთი მხარე მეორეს „მოლოტოვის კოქტეილს“ ესვრის და ადმინისტრაციული შენობების გადაწვას ცდილობს, შეუძლებელია, არსებობდეს ჯანსაღი დისკუსიის გამართვის სივრცე. ამიტომ უპირველესად აუცილებელია, დროულად დასრულდეს საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის დასკვნის შედეგად დაწყებული სასამართლო პროცესი და „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ განცხადების საფუძველზე პროკურატურაში მიმდინარე გამოძიება, რათა პოლიტიკური საქმიანობა შეეზღუდოთ ჯგუფებს, რომლებიც 2004 წლიდან ემსახურებიან საქართველოსადმი მტრულად განწყობილ ძალებს და რომლებსაც ჩადენილი აქვთ უმძიმესი დანაშაულები ქვეყნისა და ხალხის წინააღმდეგ.**

**რამდენიმე დღის წინ სასურსათო პროდუქტების ფასებთან დაკავშირებით ჩვენმა პარტიამ ხელისუფლებას წარუდგინა ალტერნატიული ხედვა, რომელიც პრობლემის გრძელვადიანი გადაჭრისთვის საჭირო ნაბიჯებს მოიცავს. აღნიშნულ თემაზე მიმდინარე პროცესიც ადასტურებს ჯანსაღი და კვალიფიციური დისკუსიის არსებობის აუცილებლობას, ისევე როგორც ქვეყნისთვის სხვა მნიშვნელოვანი შიდა თუ საგარეო პოლიტიკის საკითხები ითხოვს ფართო მსჯელობას, რადგან ვიმყოფებით დიდი გეოპოლიტიკური ცვლილებების ეპოქაში, რომლის შედეგადაც იქმნება ახალი მსოფლიო წესრიგი. ამ ფონზე კი, ხელისუფლების საგარეო პრიორიტეტები რჩება იმ წესრიგის შესაბამისობაში, რომელიც ნგრევას განიცდის და წარსულის კუთვნილება ხდება.**

**პარტია „ერთიანი ნეიტრალური საქართველო“ მზადყოფნას გამოთქვამს, მონაწილეობა მიიღოს საჯარო დებატის ფორმატებში, რომლებსაც შექმნის ქართული მედია ან ხელისუფლება სამთავრობო თუ საპარლამენტო დონეზე“,** – ნათქვამია განცხადებაში.

ᲘᲡᲛᲘᲜᲔᲗ, ᲐᲙᲐᲪᲣᲙᲔᲑᲝ!




# ᲣᲛᲔᲪᲐᲠᲘ ᲛᲖᲘᲐ ᲐᲛᲐᲚᲝᲑᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲬᲜᲣᲚᲘ ᲡᲘᲚᲘᲡ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚ-ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ

## ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲐᲚᲔᲥᲢᲘᲙᲐ

**ᲬᲘᲜᲐᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲐ ᲛᲘᲖᲜᲐᲓ ᲘᲡᲐᲮᲐᲕᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲬᲕᲐᲕᲔ ᲝᲜᲢᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲓᲘᲚᲔᲛᲘᲡ — ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲘᲕᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡ — ᲓᲔᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐᲡ. ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ ᲔᲤᲣᲫᲜᲔᲑᲐ „ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ“ ᲜᲔᲘᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲛᲘᲯᲜᲔᲑᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲘᲣᲜᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲔᲛᲝᲪᲘᲣᲠ ᲢᲣᲠᲑᲣᲚᲔᲜᲢᲝᲑᲐᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲔᲗᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲚᲒᲝᲠᲘᲗᲛᲔᲑᲘ.**

**ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲔᲛᲞᲘᲠᲘᲣᲚ ᲓᲔᲠᲫᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ 2025 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲨᲘ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ — ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢ ᲛᲖᲘᲐ ᲐᲛᲐᲚᲝᲑᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲓᲒᲔᲑᲣᲐᲫᲘᲡ ᲘᲜᲪᲘᲓᲔᲜᲢᲘ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲙᲐᲖᲣᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲬᲔᲠᲘᲚᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲣᲚᲘᲐ ᲐᲠᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲚᲝᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲘᲡ ᲔᲞᲘᲖᲝᲓᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲘᲙᲕᲔᲗᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲣᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ „ᲮᲔᲚᲨᲔᲣᲮᲔᲑᲔᲚᲘ ᲣᲜᲘᲤᲝᲠᲛᲘᲡ“ ᲓᲝᲥᲢᲠᲘᲜᲐ ᲓᲐ „ᲘᲓᲔᲜᲢᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲐᲓᲘ ᲫᲐᲚᲐᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ.**

წერილი ახდენს ამ პრეცედენტის ევროპულ და ტრანსატლანტიკურ სამართლებრივ ჩარჩოში (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი, საფრანგეთის შიდა უსაფრთხოების კოდექსი, აშშ-ს ფედერალური სტანდარტები, სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკა) ინტეგრირებას.

კვლევა ასაბუთებს, რომ ჭეშმარიტი ევროპული წესრიგი დგას ორ ურთიერთშემავსებელ, თუმცა ხშირად კონფლიქტურ სვეტზე: ინსტიტუციისადმი უპირობო პატივისცემასა და ძალის გამოყენების აბსოლუტურ გამჭვირვალობაზე. თანამედროვე პოლიტიკური თეორიის ცენტრალური ნარატივი, თომას ჰობსის „ლევიათანიდან“ მოყოლებული მაქს ვებერის „პოლიტიკა როგორც მოწოდებამდე“, უცვლელად ტრიალებს ერთი ფუნდამენტური აქსიომის გარშემო: სახელმწიფო არის ერთადერთი ინსტიტუცია, რომელიც ფლობს ლეგიტიმური ძალადობის მონოპოლიას განსაზღვრულ ტერიტორიაზე. ეს მონოპოლია არ არის ტირანიის კაპრიზი ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების პრეროგატივა; ის არის სოციალური ინჟინერიის აუცილებელი მექანიზმი, რათა თავიდან იქნას აცილებული **„ყველას ომი ყველას წინააღმდეგ“.**

ჰობსისეული გაგებით, ბუნებითი მდგომარეობის ქაოსიდან გამოსვლის ერთადერთი გზა არის სუვერენისთვის ძალის გამოყენების უფლების დელეგირება, რაც თავის მხრივ, ქმნის უსაფრთხოების გარანტიას. თუმცა, ლიბერალური დემოკრატიის პარადოქსი და მისი უდიდესი გამოწვევა იმაში მდგომარეობს, რომ სუვერენმა ეს მონსტრული ძალა — მეტაფორული ლევიათანი — უნდა გამოიყენოს ისე, რომ არ გაანადგუროს ის სუბიექტი (მოქალაქე), რომლის დასაცავადაც შეიქმნა იგი.

ეს არის ბეწვის ხიდი წესრიგსა და თავისუფლებას შორის, სადაც ნებისმიერი გადახრა იწვევს ან ანარქიას (როდესაც სახელმწიფო ვერ იყენებს ძალას), ან ტირანიას (როდესაც სახელმწიფო ბოროტად იყენებს ძალას).



საქართველოში მიმდინარე პროცესები, განსაკუთრებით 2024-2025 წლების საპროტესტო ტალღის ფონზე, ცხადყოფს, რომ ჩვენი საზოგადოება იმყოფება „სოციალური კონტრაქტის“ გადააზრების მტკივნეულ და ეგზისტენციალურ ფაზაში. ეს არ არის მხოლოდ პოლიტიკური კრიზისი; ეს არის სახელმწიფოებრივი იდენტობის კრიზისი. საზოგადოებრივი სხეული სპაზმურ მდგომარეობაშია, სადაც ემოციური პოლარიზაცია და პოლიტიკური აფექტი ხშირად გვიბინდავს გონებას და გვავიწყებს მთავარს:

სახელმწიფოს არქიტექტურა ვერ აიგება მხოლოდ „თავისუფლების“ ან მხოლოდ „წესრიგის“ ლოზუნგებზე. ის მოითხოვს ცივ, მათემატიკურ, თითქმის ქირურგიულ ბალანსს ამ ორ ღირებულებას შორის. ქართულ საჯარო დისკურსში, სამწუხაროდ, ხშირად დომინირებს „ემოციური სამართალი“. ეს არის მდგომარეობა, როდესაც სამართლებრივი ფაქტები იცვლება მორალური აღშფოთებით, ხოლო ინსტიტუციური ლოგიკა — პოლიტიკური მიზანშეწონილობით.

როდესაც მომიტინგე ფიზიკურად ეხება პოლიციელს, საზოგადოების ერთი ნაწილი, რომელიც ოპოზიციურადაა განწყობილი, ამას „გმირულ წინააღმდეგობად“ და „ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლად“ ნათლავს. მეორე მხრივ, სახელისუფლებო ნარატივი ნებისმიერ პროტესტს „სახელმწიფო გადატრიალების მცდელობად“ და „რადიკალიზმად“ აფასებს. ორივე პოზიცია, თავისი არსით, პრე-პოლიტიკური და წინასამართლებრივია. აკადემიური პოლიტიკური ფილოსოფია და კონსტიტუციონალიზმი გვასწავლის, რომ ქმედების შეფასება უნდა მოხდეს არა პიროვნული სიმპათიებით, პოლიტიკური გემოვნებით ან ემოციური ფონით, არამედ მკაცრი ინსტიტუციური ლოგიკით.

სამართლებრივი სახელმწიფოს იმპერატივი მოითხოვს, რომ კანონი მოქმედებდეს ბრმად, მიუკერძოებლად და უნივერსალურად, მიუხედავად იმისა, თუ ვინ დგას ბარიკადის რომელ მხარეს. წინამდებარე ანგარიშის ამოცანაა, გაწმინდოს ეს სურათი ემოციური ნალექისგან და წარმოადგინოს „სამართლებრივი სახელმწიფოს“ ევროპული მოდელი, სადაც:

**— ᲣᲜᲘᲤᲝᲠᲛᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲣᲮᲔᲑᲔᲚᲘ, ᲐᲠᲐ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲘ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ „ᲙᲐᲠᲒᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲐ“, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲝᲞᲝᲚᲘᲘᲡ ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲡ. ᲣᲜᲘᲤᲝᲠᲛᲐᲖᲔ ᲨᲔᲮᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲮᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲖᲔ.**

ძალა არის გამჭვირვალე: არა იმიტომ, რომ პოლიციელი აპრიორი ეჭვმიტანილია, არამედ იმიტომ, რომ ანონიმური ძალაუფლება ეწინააღმდეგება რესპუბლიკის იდეას და ანგარიშვალდებულების პრინციპს.

ჩემი ანალიზი დაეყრდნობა მზია ამაღლობელის კაზუსს, სადაც ჟურნალისტის მიერ პოლიციის უფროსისთვის სილის გაწვნა და შემდგომი მკაცრი სამართლებრივი რეაგირება წარმოადგენს იდეალურ ლაბორატორიულ მასალას ამ დიქოტომიის გასაანალიზებლად. ეს შემთხვევა არ არის უბრალო ინციდენტი; ეს არის ტესტი ქართული სახელმწიფოებრიობისთვის, რომელიც გვაჩვენებს, რამდენად ახლოს ან შორს ვართ ჩვენ ევროპული სამართლებრივი სტანდარტებისგან. სახელმწიფოებრივი წესრიგის პირველი და უმთავრესი პოსტულატი, რომელზეც დგას ნებისმიერი დასავლური დემოკრატია, არის სახელმწიფო ინსტიტუტის ფიზიკური ხელშეუხებლობა. ევროპული და ამერიკული სამართლებრივი ტრადიცია ერთმნიშვნელოვნად ადგენს, რომ მოქალაქის ემოციური მდგომარეობა, პოლიტიკური პროტესტის სიმწვავე, სოციალური უსამართლობის განცდა ან თუნდაც პოლიციელის მხრიდან ვერბალური პროვოკაცია არ და ვერ იქნება გამართლება ფიზიკური კონტაქტისთვის სამართალდამცავთან.

**ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ „ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲮᲐᲖᲘ“, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲙᲕᲔᲗᲐᲪ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲣᲠ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲔᲑᲨᲘ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲣᲛᲙᲐᲪᲠᲔᲡ ᲚᲔᲒᲘᲢᲘᲛᲣᲠ ᲠᲔᲐᲒᲘᲠᲔᲑᲐᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲘᲪᲐᲕᲡ ᲐᲠᲐ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲡ.**

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, რომელიც კონტინენტური ევროპის სამართლებრივი სისტემის ხერხემალს და სამართლებრივი სახელმწიფოს ეტალონს წარმოადგენს, გამოირჩევა უმკაცრესი მიდგომით სახელმწიფო მსახურების (პოლიცია, მაშველები, სახანძრო სამსახური) ფიზიკური ხელშეუხებლობის დაცვის კუთხით. ეს დაცვა დეტალურად არის კოდიფიცირებული გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 113-ე და 114-ე პარაგრაფებში.

საინტერესოა გერმანული კანონმდებლობის ევოლუცია. 2017 წლამდე გერმანული სამართალი ძირითადად ეყრდნობოდა §113-ს („წინააღმდეგობის გაწევა აღსრულების ოფიცრისთვის“), სადაც აქცენტი კეთდებოდა აღსრულების პროცესის შეფერხებაზე. თუმცა, 2017 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო რეფორმით, რომლის მიზანიც სახელმწიფო მსახურთა დაცვის სტანდარტის ამაღლება იყო, §114 მნიშვნელოვნად გამკაცრდა და ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი, განსაკუთრებული დანაშაული — „სამართალდამცავზე ფიზიკური თავდასხმა“. კანონის ტექსტი (§ 114 StGB) არის ლაკონიური და იმპერატიული: „ვინც ფიზიკურად თავს ესხმის პოლიციის მოსამსახურეს მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამი თვიდან ხუთ წლამდე“. ეს ფორმულირება განსხვავდება მარტივი სხეულის დაზიანებისგან იმით, რომ აქ მსხვერპლი არის არა კერძო პირი, არამედ სახელმწიფო ძალაუფლების მატარებელი სუბიექტი.

გერმანული სასამართლო პრაქტიკა, მათ შორის ფედერალური სასამართლოს და ბავარიის უზენაესი სასამართლოს უახლესი გადაწყვეტილებები, გვთავაზობს „ფიზიკური თავდასხმის“ ძალიან ფართო განმარტებას. სასამართლო განმარტავს, რომ ამ დანაშაულის შემადგენლობისთვის არ არის აუცილებელი, რომ პოლიციელმა განიცადოს ფიზიკური ტკივილი ან მიიღოს სხეულის დაზიანება. საკმარისია ნებისმიერი „მტრული ქმედება, რომელიც მიმართულია სხეულისკენ“. სილის გაწვნა, თუნდაც ის იყოს ე.წ. „მსუბუქი“ ან არ ტოვებდეს კვალს, გერმანული სამართლებრივი დოგმატიკით კვალიფიცირდება როგორც § 114-ით გათვალისწინებული დანაშაული. **ამის მიზეზი არის ის, რომ სილა არის არა მხოლოდ ფიზიკური ზემოქმედება, არამედ სიმბოლური აქტი — სახელმწიფოს ავტორიტეტის დამცირების მცდელობა.** სახელმწიფო კი, საკუთარი სტაბილურობის დასაცავად, ვერ დაუშვებს მსგავს დამცირებას. გერმანული კანონმდებელი შეგნებულად ზრდის სასჯელის ქვედა ზღვარს (მინიმუმ 3 თვე პატიმრობა), რათა პრაქტიკულად გამორიცხოს ჯარიმით „იოლად გამოსვლა“ ან საქმის შეწყვეტა მსგავს შემთხვევებში. ეს არის ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის გამოვლინება.

გერმანული სახელმწიფოს გზავნილი მარტივია: **თუ მოქალაქე თავს უფლებას აძლევს, ხელი აღმართოს სახელმწიფოს წარმომადგენელზე, ის არღვევს საზოგადოებრივი მშვიდობის ფუნდამენტს და პასუხს აგებს სისხლის სამართლის უმკაცრესი ნორმებით.**

**ᲛᲖᲘᲐ ᲐᲛᲐᲚᲝᲑᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲐᲞᲔᲚᲘᲠᲔᲑᲓᲐ ᲘᲛᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛ ᲡᲘᲚᲐ ᲘᲧᲝ „ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲘ“, ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲤᲔᲥᲢᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲣᲬᲕᲔᲕᲘᲐ ᲠᲔ-**




**ალური ფიზიკური ზიანი. გერმანული §114-ის პერსპექტივიდან, ეს არგუმენტი არარელევანტურია კვალიფიკაციისთვის. ქმედების ინტენსივობა შეიძლება გავლენას ახდენდეს სასჯელის ზომაზე (მაგ., 3 თვე თუ 2 წელი), მაგრამ არა თავად დანაშაულის არსებობაზე.**

**გერმანიაში მსგავსი ქმედება უპირობოდ გამოიწვევდა სისხლისსამართლებრივ დევნას და, დიდი ალბათობით, გამამტყუნებელ განაჩენს, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა პოლიციელი თავად აგრესიული (რაც ცალკე განხილვის საგანია).**

თუ გერმანული მოდელი მკაცრია, ამერიკული მოდელი კიდევ უფრო დაუნდობელია სახელმწიფო მსახურზე თავდასხმის მიმართ. ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც სამართალდამცავის სიცოცხლე და ხელშეუხებლობა საკრალიზებულია, ფედერალური კანონმდებლობა (18 U.S. Code §111) პოლიციელთან ნებისმიერ ფიზიკურ კონტაქტს განიხილავს როგორც მძიმე დანაშაულს. აშშ-ს ფედერალური კოდექსი (18 U.S.C. § 111) მკაფიოდ განასხვავებს თავდასხმის კატეგორიებს:

**– უბრალო თავდასხმა: ქმედება ფიზიკური კონტაქტის გარეშე (მაგ., მუქარა, ხელის მოქნევა, აგრესიული მოძრაობა), რაც კვალიფიცირდება როგორც ნაკლებად მძიმე დანაშაული და ისჯება 1 წლამდე პატიმრობით.**

**– ფიზიკური კონტაქტი: კანონი სპეციალურად გამოყოფს შემთხვევებს, როდესაც ადგილი აქვს „ფიზიკურ კონტაქტს“. ნებისმიერი შეხება – დარტყმა, ხელის კვრა, სილა – ავტომატურად გადაჰყავს ქმედება მძიმე დანაშაულის კატეგორიაში და ითვალისწინებს 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.**

აშშ-ს სასამართლო პრაქტიკა, კერძოდ უზენაესი სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილება საქმეზე **United States v. Feola** (1975), ადგენს უმკაცრეს სტანდარტს: მოქალაქემ შეიძლება არც კი იცოდეს, რომ პირი ფედერალური აგენტია (მაგალითად, თუ ის სამოქალაქო ფორმაშია), მაგრამ მაინც აგოს პასუხი უმკაცრესი კანონით.

სასამართლომ განმარტა, რომ კანონის მიზანია მაქსიმალური დაცვა მიანიჭოს ფედერალურ ოფიცრებს, და რისკი მთლიანად ეკისრება თავდამსხმელს. უფრო მეტიც, ემოციური აფექტი ან პოლიციელის მხრიდან უხეშობა (თუ ის არ გადადის სიცოცხლისთვის საშიშ ძალადობაში) იშვიათად მიიღება გამამართლებელ საბუთად, თუ საპასუხო რეაქცია იყო ფიზიკური ძალადობა.

ამერიკული სამართლებრივი ლოგიკით, მოქალაქეს არ აქვს უფლება, ფიზიკური წინააღმდეგობა გაუწიოს დაკავებას, თუნდაც ეს დაკავება უკანონო იყოს (ბევრ შტატში ეს პრინციპი მოქმედებს). სამართლებრივი დაცვა ხორციელდება სასამართლოში და არა ქუჩაში.

ამაღლობელის ინციდენტში, სადაც

**ჟურნალისტმა სილა გაარტყა პოლიციის უფროსს, აშშ-ს ფედერალური სტანდარტით ეს ქმედება ცალსახად მოექცეოდა 18 USC 111(A)-ს ქვეშ, როგორც ფიზიკური კონტაქტით ჩადენილი თავდასხმა. ამერიკული მართლმსაჯულების სისტემაში, არგუმენტი, რომ „პოლიციელმა შემაგინა“ ან „ჩემი ოჯახის წევრებს აკავებდნენ“, არ აბათილებს ფიზიკური თავდასხმის ფაქტს. ის შეიძლება განხილულ იქნას მხოლოდ სასჯელის შემსუბუქების ეტაპზე, მაგრამ ვერ იქნება გამამართლებელი გარემოება. შესაბამისად, 2-წლიანი სასჯელი, რომელიც მიესაჯა ამაღლობელს, ამერიკული საზომით (სადაც მაქსიმუმი 8 წელია), სრულიად თავსდება ლეგიტიმურ ჩარჩოებში.**

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკა, თუმცა ძირითადად ფოკუსირებულია მოქალაქის უფლებებზე და სახელმწიფოს ვალდებულებებზე, ასევე აღიარებს სახელმწიფოს ლეგიტიმურ უფლებას, დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი და საკუთარი წარმომადგენლები. საქმეში **Bouyid v. Belgium**, დიდმა პალატამ განიხილა შემთხვევა, სადაც პოლიციელმა გაარტყა სილა მოქალაქეს. სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიციელის მხრიდან მოქალაქისთვის სილის გაწვნა არის მე-3 მუხლის (არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა) დარღვევა, რადგან პოლიციელი იმყოფება ძალაუფლების პოზიციაში. თუმცა, ამ პრეცედენტის ლოგიკური გაგრძელება და მედლის მეორე მხარე გულისხმობს ინსტიტუციური ღირსების დაცვასაც.

**თუ სილა არის ღირსების შემლახავი მოქალაქისთვის, ის ასევე წარმოადგენს ინსტიტუციური ღირსების შელახვას პოლიციელისთვის.**

ევროპული სამართლებრივი სივრცე არ უშვებს „პირად ანგარიშსწორებას“ და „თვითგასამართლებას“.

**– თუ პოლიციელი არღვევს კანონს (აგინებს, აფურთხებს, როგორც ეს მითითებულია ამაღლობელის ადვოკატების მიერ), მოქალაქის პასუხი უნდა იყოს სამართლებრივი (საჩივარი, ინსპექცია, სასამართლო) და არა ფიზიკური (სილა).– ფიზიკური პასუხი არღვევს სახელმწიფოებრივი წესრიგის იერარქიას და გადაჰყავს ურთიერთობა „ქუჩურ“ სივრცეში.**

ევროპული კონვენცია იცავს მოქალაქეს სახელმწიფოს ძალადობისგან, მაგრამ არ აძლევს მას უფლებას, თავად იძალადოს სახელმწიფოზე.

**მზია ამაღლობელის მიერ პოლიციის უფროსისთვის სილის გაწვნის ფაქტი, მიუხედავად მისი ემოციური, პოლიტიკური თუ მორალური კონტექსტისა, დასავლური სამართლებრივი სტანდარტებით წარმოადგენს მძიმე სამართალდარღვევას. გერმანული, ფრანგული და ამერიკული პრეცედენტები ადასტურებენ, რომ სახელმწიფოს აქვს სრული ლეგიტიმაცია (და ვალდებულებაც კი), მკაცრად დასაჯოს უნიფორმის შეხება. „სისტემური არქიტექტორის“ თვალით, ეს არის არა რეპრესია, არამედ ინსტიტუციური იმუნიტეტის დაცვა, რომლის გარეშეც სახელმწიფო ჩამოიშლება და გადაიქცევა შეიარაღებულ დაჯგუფებად.**



**ირაკლი ყიფიანი**

(დასასრული იქნება)

# კომუნალური კატასტროფა უკრაინაში

**უკრაინისათვის** მიმდინარე ზამთარი ნამდვილ ჯოჯოხეთს წარმოადგენს: პრობლემები სხვადასხვა დარგებში გაჩნდა და მთლიანობაში სახიფათო ზვავად იქცა, – ნათქვამია ლიბანური ტელეარხის **„ალ მაიდენის“ (Al Mayadeen)** ინტერნეტ-გვერდზე გამოქვეყნებულ სტატიაში, სათაურით **„კომუნალური კატასტროფა უკრაინაში: წყდება ქვეყნის ბედი“** (ავტორი – **დმიტრო კოვალევიჩი**, სპეცკორესპონდენტი უკრაინაში).

**გთავაზობთ პუბლიკაციას შემოკლებით:**

**უკრაინა ჰუმანიტარული და ინფრასტრუქტურული კრიზისის წინაშეა, რომელიც სულ უფრო ღრმავდება: ელექტროენერგიის ხშირ გამორთვებს, უწყლობას, დაბალ ტემპერატურას და საერთოდ მოშლილ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას ემატება მზარდი სამხედრო ხარჯები – ქვეყნის დასავლური პრიორიტეტების შესაბამისად და ეს ყველაფერი რიგითი უკრაინელების ზურგზე გადადის.**

იანვრის მეორე ნახევარში უკრაინის დიდმა ქალაქებმა – კიევმა, ოდესამ, დნიპრომ, ხარკოვმა და სხვებმა ელექტრონერგიის ტოტალური გამორთვა განიცადეს. ზოგიერთ მიკრორაიონში ელექტროდენი, გათბობა და წყალმომარაგება კვირების განმავლობაში არ არის. იმის გამო, რომ უკრაინის მსხვილ ქალაქებში საბჭოთა დროიდან დარჩენილი ცენტრალური გათბობის სისტემებია ექსპლოატაციაში, ისინი ვერ უძლებენ 20-გრადუსიან ყინვას და მწყობრიდან გამოდიან. თვით უკრაინის ენერგეტიკის სამინისტროშიც კი გათბობისა და კანალიზაციის სისტემა მწყობრიდან გამოვიდა – ყინვამ მილები დახეთქა. **„100-150 ათასი კიეველი, რომელთა ბინებში მილებია დახეთქილი, ამ ზამთარს სითბოს გარეშე დარჩნენ“,** – განაცხადა კომუნალური სამსახურის მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარემ **ოლეგ პოპენკომ.**

კიეველები ბინებში სანთლების შუქზე გაზის ბალონებითა და ნავთქურებით თბებიან. კიევში, ხარკოვში, ოდესაში და სხვა დიდ ქალაქებში სუპერმარკეტები და სხვა მაღაზიები დაკეტილია, ხოლო იმ მაღაზიებში, რომლებიც ჯერ კიდევ ვაჭრობენ, ფასები მკვეთრად გაიზარდა. მოსახლეობა გზებს ბლოკავს, რომ როგორმე დღეში ელექტროენერგია რამდენიმე საათით მიიღონ. ელექტრომომარაგების სისტემა კოლაფსში გადადის.

დასავლური მედიის მასალების თანახმად, კრიზისის ერთ-ერთი მიზეზია იმ ევროპული დახმარების მასობრივი დატაცება, რომელიც უკრაინაში მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგებისთვის უნდა დახარჯულიყო – უნდა შესყიდულიყო ელექტროგენერატორები, უნდა აშენებულიყო დამცავი ნაგებობები ტრანსფორმატორებისა და ელექტროკაბელებისათვის. კორუფციონერების ნაწილი დაიჭირეს, ნაწილმა კი ისრაელში გაქცევა მოასწრო. პარლამენტის წევრმა **ალექსი გონჩარენკომ,** რომელიც პროდასავლური პოლიტიკოსია ექს-პრეზიდენტ **პეტრო პოროშენკოს** პარტიიდან, თავისი პოზიცია გამოხატა შექმნილი სიტუაციის გამო: **„მთავრობა პრაქტიკულად არაფერს არ აკეთებს არც სამხედრო სფეროში და არც ენერგეტიკაში... სამშვიდობო მოლაპარაკება წინ არ მიდის, სრული სიჩუმე დგას... სამაგიეროდ, ზელენსკის მეგობრები ხშირად დადიან თბილ მაიამში და თელავივში, აქ კი რიგითი უკრაინელები იყინებიან“.**

## „ენერგეტიკული ომი“: ვინ დაიწყო და რა მიიღო

**უკრაინელი ანალიტიკოსები თვლიან, რომ ამჟამინდელი სოციალური კატასტროფის ერთ-ერთი მიზეზია უკრაინის მიერ დაწყებული ე.წ. „ენერგეტიკული ომი“, რომელიც რუსეთის ელექტრო და თბოენერგეტიკული ინფრასტრუქტურის წინააღმდეგაა მიმართული და რომელსაც ვოლოდიმირ ზელენსკი 2025 წლიდან აწარმოებს. მისი ადმინისტრაცია ამას „ასიმეტრიულ მოქმედებას“ უწოდებს.**

გასაგებია, რომ ომის დროს მოწინააღმდეგეები ესწრაფვიან ერთმანეთის სამხედრო და ენერგეტიკული ობიექტების განადგურებას, მაგრამ... უკრაინა რუსეთთან შედარებით სუსტი სახელმწიფოა. კიევმა დაუჯერა დასავლელ მოკავშირეებს, რომლებმაც მას რუსეთის ნავთობის საბადოების, ნავთობგადამამუშავებელი ქარხნებისა და ნავთობბაზების დაბომბვა ურჩიეს–კრემლი ნავთობს ვეღარ ამოიღებს, ვერ გადაამუშავებს, ვერც გაყიდის და, შესაბამისად, შემოსავლები შემოაკლდებაო. უკრაინამ მართლაც დაარტყა რუსული ნავთობის მრეწველობისა და ტრანსპორტის საშუალებებს – დრონების მეშვეობით აზიანებს და ანგრევს ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებს, აფეთქებს ტანკერებს შავ ზღვაში და ნავთობის ჭაბურღილებს კასპიის ზღვაში.

სწორედ ასეთი სისტემატური შეტევების შემდეგ რუსეთმაც დაიწყო საპასუხო დარტყმების მიყენება და სულ რაღაც რამდენიმე შეტევით უკრაინის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის თითქმის სრული პარალიზება მოახდინა. რიგითი უკრაინელები ენერგეტიკული ომის მძევლები გახდნენ – ომისა, რომელსაც დასავლური კორპორაციები აწარმოებენ ნავთობისა და ბუნებრივი გაზის ბაზრების მოსაპოვებლად, რუსული ნავთობის ექსპორტის შეზღუდვის მიზნით საერთაშორისო არენაზე. ამას წინათ მთელმა მსოფლიომ დაინახა **„გლობალური ენერგეტიკული ომის“** ფაქტი – აშშ-ის აგრესია ვენესუელის ნავთობის ექსპორტის წინააღმდეგ, [რომელიც, სხვათა შორის, ნარკოტიკებთან ბრძოლის საბაბით დაიწყო].

**ვოლოდიმირ ზელენსკის** ჯერ კიდევ 2025 წლის დასაწყისში აფრთხილებდნენ, რომ რუსული ენერგოინფრასტრუქტურის წინააღმდეგ მიმართული დარტყმები უკრაინას უკან კატასტროფულად შეუბრუნდებაო, მაგრამ კიევმა მაინც მიიღო გადაწყვეტილება, რომ შეტევები გაეგრძელებინა. დღესაც ზელენსკის ადმინისტრაცია დარწმუნებულია, რომ უკრაინული საზოგადოების განწყობა მისთვის ხელსაყრელია (არ არის ანტისახელისუფლებო საპროტესტო აქციები) და, შესაბამისად, შეუძლია კვლავაც გააგრძელოს რუსეთთან დაპირისპირება რაიმე დათმობის გარეშე.

ექსპერტები მიუთითებენ იმ პრობლემებზე, როცა ენერგეტიკაში შექმნილ კრიტიკულ მდგომარეობას ქვეყანა სრულ ჩაბნელებამდე მიჰყავს და, მისგან გამომდინარე, ხდება ახალი კრიზისების პროვოცირება [ჯაჭვური რეაქციის პრინციპით]. „ენერგოსისტემის აღდგენა უბრალოდ, შეუძლებელი ხდება – ის მოითხოვს კაპიტალურ დაბანდებებს, რომლისთვის არც დრო და არც რესურსები არ არსებობს. აუცილებელია ახალი ენერგოსტრატეგია, მაგრამ ხელისუფლება უკრაინელებს ურჩევს [სამშობლოს სახელით] მძიმე სიტუაციას გაუძლოს“, იტყობინება უკრაინული მედია (**Telegram**-არხი, 15 იანვარი).

## ან ზელენსკი, ან მილიონობით უკრაინელი

**უკრაინული გამოცემების თანახმად, ვოლოდიმირ ზელენსკი აცხადებს, რომ მზად არ არის დათმობებზე წავიდეს რუსეთთან მიმართებით, რასაც დონალდ ტრამპიც ადასტურებს: მან თავისი უკრაინელი კოლეგა სამშვიდობო პროცესის დაბრკოლებაში დაადანაშაულა.**

მართლაცდა, ყველა სიგნალი, რომელიც პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან მოდის, მოწმობენ იმას, რომ ბრძოლა გაგრძელდება. უკრაინის ხელმძღვანელობაში დარწმუნებულები არიან, რომ ფრონტი არ დაინგრევა და ქვეყნის მოსახლეობა ზამთარს გადაიტანს. მმართველი პოლიტიკოსები და გენერლები მოქალაქეებს იმედს უნერგავენ, რომ გამარჯვების სილუეტი უკვე ჰორიზონტზე მოჩანს, რუსეთი დასავლური სანქციებით დაინგრევა, ცოტაც უნდა მოითმინონ. როგორც ვასილი ვოლგა, ყოფილი ბიზნესმენი და პარლამენტის დეპუტატი (დევნილი), თვლის, უკრაინაში კრიზისის გამწვავება გამოწვეულია იმით, რომ ვოლოდიმირ ზელენსკი ხელისუფლებას ეჭიდება და პოსტიდან წასვლა არ სურს, ამიტომაც იგი სამხედრო-საომარ კურსს აგრძელებს: **„მე ადრეც ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ: ზელენსკი კბილებით არის ჩაფრენილი ხელისუფლებას. როცა კბილები დასცვივდება, ფრჩხილებით ჩაეჭიდება. ის ბოლო მომენტამდე ასე იქნება. რაც დრო გადის, ზელენსკისათვის ხელისუფლებიდან ჩვეულებრივი წასვლა სულ უფრო პრობლემატური ხდება“.** ვასილი ვოლგა უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ ზელენსკი შეიძლება ახლო მომავალში იმ ადამიანებმა დახვრიტონ, ვინც მას ამჟამად მხარს უჭერს.

რუსეთ-უკრაინის ომი 1941-45 წლების საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომზე უფრო დიდხანს გრძელდება. ევროპას სურს ომის ისეთი დასრულება, რომლის შედეგად უკრაინის ტერიტორიაზე საერთოევროპული სამხედრო ძალები განლაგდებიან. ეს არის აბსურდული მიზანი, რუსეთი ამას არ დაუშვებს.



მოამზადა
**სიმონ კილაძემ**

# ეს ბოდვა კი არა, სინამდვილეა!



**იოსებ სტალინის** შესახებ წერილების გამოქვეყნებისას, ახლადგახსნილ არქივებს რომ ვათვალიერებდი, კიდევ ერთ დოკუმენტს წავაწყდი, რომელზეც ეწერა: **წინასწარმეტყველება. ვ.მ. 26 თებერვალი, 2026 წელი.**

აღმოჩნდა, რომ წინასწარმეტყველება „საბჭოთა საშემსრულებლო ხელოვნების“ ცნობილ არტისტსა და მენტალისტს, ვოლფ მესინგს ეკუთვნოდა, რომელიც მაშინ ე.წ. აზრების წაკითხვის ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტებს ატარებდა ფართო აუდიტორიის წინაშე.

ახლა ...26 იანვარია! წინასწარმეტყველების ახდენამდე დარჩა ზუსტად 30 დღე. ვოლფ მესინგი არასდროს ცდებოდა, მისი წინასწარმეტყველებების სიზუსტე შეადგენდა 98%. მან იწინასწარმეტყველა სამამულო ომის დაწყების თარიღი– 1941 წლის 22 ივნისი. მესინგმა იწინასწარმეტყველა სტალინის გარდაცვალების დღეც – 1953 წლის 5 მარტი, მანვე დაასახელა სსრკ-ს დაშლის დრო 20 წლით ადრე, ვიდრე ეს მოხდებოდა!!!

## საიდუმლო წინასწარმეტყველება: 2026 წლის 26 თებერვალი და 7 სახელმწიფოს ბედი



**ვოლფ გრიგორის ძე მესინგი** ღარიბ ებრაელთა ოჯახში დაიბადა 1899 წელს, პატარა პოლონურ ქალაქ გურა კალვარიაში. მისი მამა ბაზარში ვაჭრობდა, დედა კი შვილების გაზრდით იყო დაკავებული. ბიჭს პროვინციელი ებრაელის ბედი ელოდა, ოჯახის შექმნა, ვაჭრობაში ჩართვა, მაგრამ 6 წლის ასაკში ვოლფმა გამოავლინა შესაძლებლობა და უნარი, რითაც დააფრთხო არა მხოლოდ მეზობლები და ახლობლები, არამედ მშობლებიც – ის ხვდებოდა, რას ფიქრობდნენ ადამიანები მანამდე, სანამ ისინი უბრალოდ, პირს გააღებდნენ და საუბარს დაიწყებდნენ. დაუჯერებელი სიზუსტით აღწერდა მოსახდენ მოვლენებს ერთი კვირით ადრე, უბრალოდ პოულობდა დაკარგულ ნივთებს, დახუჭავდა თვალებს და კონცენტრირდებოდა კონკრეტულ ამბავზე, აღწერდა ადგილს, სადაც დაკარგული ნივთი იდო.

ადგილობრივმა რაბინმა ბიჭი შეპყრობილად გამოაცხადა და აუკრძალა მას სინაგოგაში გამოჩენა. მშობლებმა არ იცოდნენ, რა უნდა ექნათ – ექიმთან მიეყვანათ ბიჭი თუ ეგზორცისტთან.

**11 წლის ასაკში ვოლფმა გადაწყვეტილება თავად მიიღო – ის სახლიდან გაიქცა.**

პატარა ვოლფს არ ჰქონდა ფული, დოკუმენტები, ის გაჰყვა მატარებელს, რომელიც ბერლინის მიმართულებით მიდიოდა და დაიმალა ვაგონში, სკამის ქვეშ. როცა მას კონტროლიორი მიუხლოვდა, ბიჭმა ჩაატარა მის ცხოვრებაში პირველი ჰიპნოზური აქტი, – მან გაუწოდა კონტროლიორს გაზეთის პატარა ნაგლეჯი, რომელზეც დაწერილი იყო ცხენების გაყიდვის განცხადება. პატარა ვოლფმა კონტროლიორს აზრობრივად მიაწოდა ინფორმაცია, თითქოს გაზეთის ნაგლეჯი იყო პირველი კლასის ვაგონის ბილეთი. კონტროლიორმა დახედა ქაღალდს, ყურადღებით დაათვალიერა, შემოწმების ნიშანი დაადო და მოუბოდიშა კიდევაც მგზავრებს სიმშვიდის დარღვევის გამო. მას შემდეგ, რაც კონტროლიორი წავიდა, ვოლფი დააკვირდა გაზეთის ნაგლეჯს და მიხვდა, რომ მისი განსაკუთრებული უნარი შეიძლებოდა გამხდარიყო არა წყევლა, არამედ სიცოცხლის გადარჩენის ინსტრუმენტი.

**ასე ჩავიდა 11 წლის ვოლფ მესინგი გერმანიაში.**

ბერლინში მას ელოდა ქუჩა-ქუჩა ხეტიალისა და შიმშილის წლები, ბიჭს იქ ეძინა, სადაც დაუღამდებოდა: სარდაფებში, სახლების ჭერზე, ერთი გაცვეთილი მაისურით, ზამთრის ცივ ღამეებში, მაგრამ ის ავითარებდა თავის ზებუნებრივ ნიჭს, საათობით იჯდა ქუჩაში, აკვირდებოდა გამვლელებს და ცდილობდა, გამოეცნო მათი ფიქრები და მისწრაფებები.

**მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ვოლფ მესინგი უკვე აღიარებული იყო ყველაზე ცნობილ მენტალისტად ევროპაში.**

1937 წელს ვარშავაში მესინგმა პირველად **იწინასწარმეტყველა ისეთი რამ, რამაც სრულიად შეატრიალა მისი ბედის ჩარხი. ერთ-ერთი წინასწარმეტყველების სეანსზე ის უცებ გაფითრდა, თვალები გაუფართოვდა და დაიწყო საუბარი შეცვლილი, ყრუ ხმით: ვხედავ კაცს შავი ულვაშებით. მის უკან ცეცხლმოკიდებული ქალაქებია, ვხედავ, როგორ მიუძღვება არმიას აღმოსავლეთით, მაგრამ მას იქ ელოდება სიკვდილი. თუ ეს ადამიანი მობრუნდება აღმოსავლეთისკენ, ის მოკვდება და მისი იმპერია დაინგრევა, ხოლო მისი სახელი დაწყევლილი იქნება უკუნისამდე. ვხედავ მის უკანასკნელ დღეებს. ის ზის მიწისქვეშა ბუნკერში, ირგვლივ ყველაფერი იწვის, ის შიშისგან და სიბრაზისგან კანკალებს. საკუთარი ხელით იგი გარდაიცვლება!!!ყველა ხვდებოდა, ვისზე იყო საუბარი; ეს იყო ადოლფ ჰიტლერი, რომელმაც ბოლო წლებში მომენტალურად აიღო ხელში ძალაუფლება და დაიწყო ევროპის ტერიტორიების მითვისება.**

1939 წელს, როცა გერმანიამ პოლონეთი დაიკავა, მესინგის მდგომარეობა კრიტიკული შეიქმნა, გესტაპო მას გაშმაგებით ეძებდა. ყველა საზღვარი დაიკეტა. ღია დარჩა მხოლოდ ერთი – საბჭოთა კავშირის საზღვარი, თუმცა საბჭოთა კავშირის საზღვრის გადმოკვეთა დოკუმენტების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. საბჭოთა მესაზღვრეები საზღვრის უკანონოდ გადმომლახავს ესროდნენ ადგილზევე! მაგრამ მესინგს არჩევანი არ ჰქონდა. ის დაელოდა ღამეს, გადმოლახა მაშინდელი პოლონეთ-სსრკ-ს საზღვარი გროდნოს მიმართულებით და დაიწყო ნელ-ნელა სვლა ნეიტრალური გზისკენ. საბჭოთა მესაზღვრეებმა რომ დაინახეს და ავტომატები მიუშვირეს, მესინგმა გააკეთა ის, რამაც იხსნა მისი სიცოცხლე: მან ოთხივე ჯარისკაცს შთააგონა, რომ მათი მიმართულებით მიდიოდა არა ვიღაც დევნილი, არამედ მათი ხელმძღვანელი მაიორი პეტროვი...

**მესინგი დაიჭირეს მინსკში. ზრდილობიანად შესთავაზეს ჩაი და სთხოვეს, წაჰყოლოდა მათ მოსკოვში, გასაუბრებისთვის.**

როცა იოსებ სტალინმა შეიტყო ნათელმხილველის შესახებ, რომლისაც ეშინოდა თვით ჰიტლერს, გადაწყვიტა თავად შეხვედროდა მას.

**თუკი მესინგს მართლა შეუძლია აზრების წაკითხვა და ხედავს მომავალს, ის გამოადგება სახელმწიფოს; თუ შარლატანია, დახვრეტენ, როგორც აგენტს,**– თქვა მან.

სტალინმა მესინგს სამი გამოცდა ჩაუტარა. ამ სამიდან რომელიმეს თუ ვერ შეასრულებდა, უეჭველი დახვრეტა ელოდა, თუკი სამივეს შეასრულებდა, ჯილდოვდებოდა სპეციალური დაცვის სიგელით, ბინით მოსკოვში და სამუშაო ადგილით.

მესინგმა სამივე გამოცდა წარმატებით გაიარა. სამი გამოცდის ჩაბარების შემდეგ ვოლფ გრიგორიევიჩ მესინგი განსაკუთრებულ საქმეებში სტალინის მრჩევლად იქცა. ნათელმხილველი ხედავდა სტალინის გარდაცვალების თარიღს და მერე განვითარებულ მოვლენებს 100-%-იანი სიზუსტით, მაგრამ ამის თქმა არ შეეძლო. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი კონსულტაცია შედგა 1952 წლის გაზაფხულზე. როცა ბელადის სიკვდილამდე ერთ წელზე ნაკლები დრო რჩებოდა. სტალინმა მესინგი გვიან საღამოს ახლომდებარე აგარაკზე მიიწვია.

**– არაფერი დამალო, მსურს ვიცოდე, რა მოელის ჩვენს ქვეყანას 50 წლის მერე?** – უთხრა სტალინმა ვოლფ მესინგს.

მესინგმა დაჯდომის უფლება ითხოვა. რის გაკეთებასაც ის აპირებდა, მოითხოვდა დიდ ძალისხმევას. ის დაჯდა, დახუჭა თვალები, ჩაეშვა ღრმა ტრანსში და დაიწყო ხილვა.

ის ხედავდა, როგორ იშლებოდა საბჭოთა კავშირი, როგორ დაეცემოდა ბერლინის კედელი, როგორ მოხსნიდნენ კრემლიდან წითელ დროშას, როგორ ირღვეოდა საბჭოთა კავშირი 15 ნაწილად. ის ხედავდა სიღარიბეს, ქაოსს, ომებს... ხედავდა, რომ ხალხი, რომელიც 70 წელიწადი მეგობრულად ცხოვრობდა, იწყებდნენ ერთმანეთის ხოცვას. მან ყველაფერი ეს სტალინს უთხრა. ბელადი გაფითრდა, მუშტები შეკრა, მაგრამ ყველაფერს ისმენდა მდუმარედ.

როცა მესინგმა ნათელხილვა დაამთავრა, სტალინი შეეკითხა:

**– როდის მოხდება ეს?**

– 1991 წელს, 39 წლის შემდეგ.

**– შეიძლება, დრო რომ გავახანგრძლივოთ?**

– არა, ამხანაგო სტალინ. ეს გარდაუვალია. ძალიან ბევრი მიზეზი და ძალიან ღრმა ფესვები არსებობს. კავშირი დაიშლება.

სტალინი დიდხანს დუმდა.

შემდეგ ჰკითხა:

**– მაგრამ შემდეგ? რა იქნება მერე?**

მესინგი ისევ ჩაეშვა ღრმა ტრანსში.

**2026 წელს მოხდება გარდატეხა,** – თქვა მან, **– 7 სახელმწიფო გაქრება მსოფლიო რუკიდან. ძველი წესრიგი საბოლოოდ დაირღვევა.**

მესინგმა ჩამოთვლა დაიწყო, მაგრამ პირდაპირ კი არ დაუსახელებია, არამედ აღწერილობით. ის ხედავდა გამოსახულებებს, სიმბოლოებს, მინიშნებებს.

**პირველი – ორად გაყოფილი მიწა, სადაც ძმა ძმას გადაემტერა, მეორე სამეფო კუნძული, რომელიც კონტინენტს გამოეყოფა, მესამე – ხელოვნური წარმონაქმნი, შეკავშირებული უცხო სისხლით. ეს მოხდება 2026 წლის 26 თებერვალს. ამ დღის შემდეგ სამყარო შეიცვლება სამუდამოდ. უკანდასახევი გზა არ იქნება. დაიწყება ახალი ერა.**

მოამზადა
ირანდა კალანდაძემ

(გაგრძელება იქნება)

# „ვისკის ომი“ კუნძულ ჰანსზე

**საინტერესო ამბავს რა გამოლევს მსოფლიო ისტორიაში, მაგრამ ის, რაც ახლა უნდა გიამბოთ, მართლა უჩვეულო და ღიმილის მომგვრელია. საქმე ორ ქვეყანას შორის დაპირისპირებას ეხება. კანადასა და დანიას შორის, ატლანტის ოკეანეში მდებარე ერთი პატარა კუნძულის გამო, კონფლიქტი წარმოიშვა. უფრო სწორად, კანადასა და გრენლანდიას შორის. ეს გახლავთ მცირე ზომის დაუსახლებელი მიწა, რომელსაც ჰანსის-კუნძული ჰქვია. კუნძულს ეს სახელი მე-19 საუკუნის ნორვეგიელი თარჯიმნისა და მკვლევარის ჰანს-ჰენდრიკის, პატივსაცემად ეწოდა.**




კუნძულის ფართობი მხოლოდ 1300 კვადრატული მეტრია, რომელსაც, საუკუნეების მანძილზე, კანადელი და გრენლანდიელი ესკიმოსები, ერთად, თევზის საჭერად იყენებდნენ. 1880 წელს მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, ბრიტანეთის არქტიკული სამფლობელოები კანადის იურისდიქციაში გადავიდა, თუმცა, დაბნეულობისა და მოძველებული რუკების გამო, კუნძული ჩანაწერებში დაიკარგა და შესაბამის დოკუმენტაციაში არ შევიდა. გამოხდა ხანი. არქტიკის შესწავლა გაგრძელდა. 1920-იან წლებში, დანიელმა მკვლევარებმა ეს ტერიტორიები დეტალურად შეისწავლეს და აღწერეს, მათ შორის, ჰანსის-კუნძულის მდებარეობაც დააზუსტეს. კოპენჰაგენში, რომელსაც, იმ დროისთვის, საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, გრენლანდიაზე სრული კონტროლი ჰქონდა, ამ დაუსახლებელი მიწის დანიის ტერიტორიად გამოცხადების შესახებ მიიღეს გადაწყვეტილება. 1933-წელს ერთა-ლიგის, იმდროინდელი გაეროს, საერთაშორისო სასამართლომ ჰანსის-კუნძული დანიას გადასცა. მეორე მსოფლიო-ომის შემდეგ კი, ახალდაფუძნებულმა გაერომ ერთა ლიგის გადაწყვეტილება ბათილად სცნო.

რადგან კუნძული, როგორც კანადის, ისე გრენლანდიის ახლოს მდებარეობს, მასზე უფლება ორივე ქვეყანამ განაცხადა, მაგრამ, ეს უკაცრიელი კუნძული ორივე ქვეყნისთვის იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ მის გამო დავა მიიჩქმალა და დავიწყებას მიეცა. 1970-იან წლებში, კანადასა და დანიას შორის კონფლიქტი გამწვავდა, როცა მათ საზღვაო საზღვრების დემარკაცია გადაწყვიტეს. პროცესი 1973 წელს დასრულდა, თუმცა, ჰანსის-კუნძულის საკითხი, რომელიც ორივე ქვეყნის სანაპიროდან 18-კილომეტრში მდებარეობს, გადაუწყვეტელი რჩებოდა. არცერთი ქვეყანა არ თმობდა პრეტენზიას კუნძულზე. 1984 წელს, ჰანსის კუნძულის გამო, კანადასა და დანიას შორის უცნაური დავა გაჩაღდა. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ კანადელმა სამხედროებმა კუნძულზე დესანტი გადასხეს, აღმართეს კანადის დროშა და დატოვეს აბრა წარწერით: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება კანადაში! კანადელებმა მტრის მორალურად განადგურებაც გადაწყვიტეს და, დროშის გვერდით, ერთი ბოთლი კანადური ვისკი დატოვეს. დანიელებმა გამოწვევა მიიღეს და, რამდენიმე კვირის შემდეგ, კუნძულზე დანიის საგარეო საქმეთა მინისტრი გაგზავნეს. მათ კანადის დროშა ჩამოხსნეს, დანიური აღმართეს, კანადური ვისკიც დალიეს და, მის ადგილას, ერთი ბოთლი დანიური შნაპსი დატოვეს, წარწერით: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება დანიურ კუნძულზე! ამის შემდეგ, რამდენიმე თვეში ერთხელ, თითოეული მხარე კუნძულზე ჩადიოდა ხოლმე და იგივე პროცედურას ახორციელებდა.

ეს უცნაური რიტუალი 38 წელიწადს გაგრძელდა. დაპირისპირება, ოფიციალურად, მხოლოდ 2022 წლის 14 ივნისს დასრულდა. უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე, კანადამ და დანიამ გადაწყვიტეს მსოფლიოსთვის ეჩვენებინათ, თუ როგორ უნდა წყდებოდეს ტერიტორიული დავები ცივილიზებულად. მათ ხელი მოაწერეს შეთანხმებას და კუნძული შუაზე გაიყვეს.

**ცერემონიის დროს, ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ბოლოჯერ გაცვალეს ბოთლები. ასე დამთავრდა ყველაზე კულტურული ომი კაცობრიობის ისტორიაში, რომელიც „ვისკის ომის“ სახელით არის ცნობილი.**



ნუგზარ ბ.რუხაძე,
POSTV



# ახალი დიპლომატიური ხიდი საქართველოსა და ირანს შორის

## სეიედ ალი მოჯანი:

## არ გვინდა, რომ ჩვენ მიმართ მტრულად განწყობილმა სახელმწიფოებმა ირანის მეგობარი ქვეყნების რესურსები ჩვენ წინააღმდეგ გამოიყენონ

**სეიედ ალი მოჯანი ირანის ისლამური რესპუბლიკის ახალი ელჩია საქართველოში. ის პროფესიით ისტორიკოსი გახლავთ და წლების განმავლობაში მოღვაწეობდა ირანის სახელმწიფო ინსტიტუტში პრეზიდენტის ადმინისტრაციას დაქვემდებარებულ „ირანოლოგიის ფონდში“, ამავე დროს ის არის ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ექსპერტი.**

**ალი მოჯანი 2017 წელს ბერლინში იყო მივლინებული ირანის საელჩოს კულტურის დეპარტამენტში. იყო, ასევე, ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს კვლევითი ცენტრის დირექტორი და ამ სამინისტრის არქივისა და დიპლომატიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი. საქართველოში ელჩად დანიშვნამდე სეიედ ალი მოჯანი ირანის პრეზიდენტის სპეციალურ წარმომადგენლად მუშაობდა ავღანეთის საკითხებში.**

**4 იანვარს ალი მოჯანი თეირანში ირანის საგარეო საქმეთა მინისტრ აბას არაყჩის შეხვდა. მინისტრის განცხადებით: „ირანი მნიშვნელოვნად მიიჩნევს საქართველოსთან ურთიერთგაგების გაძლიერებას პოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ, სავაჭრო, სატრანზიტო და ტურიზმის სფეროებში“.**

მისივე თქმით, ირანისა და საქართველოს ურთიერთობები ახლო ისტორიულ კავშირებს დაემყარება. 9 იანვარს ირანის რესპუბლიკის ახლადდანიშნულმა ელჩმა რწმუნებათა სიგელი გადასცა საქართველოს ოფიციალურ პირებს. 21 იანვარს ახალი ელჩი პრესის წარმომადგენლებს შეხვდა.

* * *

**სეიედ ალი მოჯანი: „– მოხარული ვარ, რომ ჩემი მუშაობის დაწყებიდან მე-11 დღეს საშუალება მეძლევა, შევხვდე საქართველოს პრესის წარმომადგენლებს.**

საქართველო არის ჩვენი მეზობელი ქვეყანა, ის საკმაოდ მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რადგან გვაქვს უძველესი კავშირები, როგორც ეკონომიკის, ასევე კულტურული, ხალხთა შორის ურთიერთობების თვალსაზრისით, რომლებიც საუკუნეებიდან იღებს სათავეს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ამ ურთიერთობების გაღრმავება. საინტერესოა, რომ ქართველ ხალხს და საქართველოს ყოველთვის ჰქონდა მნიშვნელოვანი როლი ირანის ცხოვრებაში. ქართველი მთავარსარდლები იცავდნენ ირანის საზღვრებს. იმამ ყული ხანი იყო ის ქართველი მთავარსარდალი, რომელმაც დაიცვა ირანის ტერიტორია, მისი ტერიტორიული წყლები... ოთარ ხანი და სხვა სახელოვანი ხანები ერთგულად იცავდნენ ირანს.

მე-19 ს-ში ირან-რუსეთის ომის დროს კიდევ ერთი ქართველი, რომელიც ირანის სახელმწიფოს ედგა მხარში, იყო ალექსანდრე ბატონიშვილი, იგი დაკრძალულია შუაგულ თეირანში, ერთ-ერთი სალოცავის ცენტრში.

ქართველების ნახელავია ღირსშესანიშნავი არქიტექტურული ძეგლები ირანში. ისპაჰანში თქვენ იხილავთ 33 თაღოვან ხიდს, რომელიც ქართველის ინიციატივით არის აშენებული. ეს 33 თაღი დღეს ქართულ ანბანთან ასოცირდება. ისტორიულად ცნობილია, რომ ქართველების დიდი რაოდენობა ირანში 1616 წელს, დაახლოებით 410 წლის წინათ აღმოჩნდა. იმ დროს ირანში საკმაოდ განვითარებული იყო აბრეშუმის წარმოება. აბრეშუმის ხალიჩები, რომლებიც იქმნებოდა ირანში და სარეალიზაციოდ გადიოდა ევროპის ქვეყნებში. შესაბამისად, ჩვენ გვსურდა ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და ამ საქმეში შუამავლები ქართველები აღმოჩნდნენ.

დღეს ეთნიკური ქართველები ირანის კანონმორჩილი და უაღრესად პატივსაცემი ხალხია. მათი ერთ-ერთი წარმომადგენელი ირანის პარლამენტის წევრია, ის კარგად საუბრობს ქართულად. ირანში მცხოვრები ქართველები ტკბილად მოსასმენი ქართულით ლაპარაკობენ, რამდენადაც ეს არის წინაპრებისგან შემონახული ენობრივი დიალექტი თავისებურება. ესაა ჩემი ზოგადი წარმოდგენა ქართველებზე და ჩემი ცოდნა თქვენი ისტორიის შესახებ.

ამ დღეებში სოციალურ ქსელებში რამდენიმე პოსტი გამოვაქვეყნე სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. ამ პოსტებით მე, გარკვეულწილად, ვცადე, უშუალოდ მიმეტანა ამგავი საზოგადოებამდე ირანში არსებული ვითარების შესახებ ჩვენი ქვეყნის სტრატეგიისა და პოლიტიკური მიმართულებების გათვალისწინებით.

* * *

**გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“: – მოგესალმებით და მოხარული ვართ, რომ თქვენ იქნებით შუამავალი საქართველოსა და ირანს შორის და მალე გახდებით ქართული საზოგადოების წევრიც.**

**ბატონო ელჩო, როგორია ირანის სახელმწიფოს პრიორიტეტები მსოფლიო გლობალურ პოლიტიკაში, რა ინტერესები გამოძრავებთ სამხრეთ კავკასიაში, თქვენი დამოკიდებულებები აზერბაიჯანსა და სომხეთთან დაკავშირებით, და ბოლოს, რა კავშირები გაქვთ საქართველოსთან, რამდენად იცნობთ ჩვენს ქვეყანას, ხომ არ გიცდიათ ქართული ენის შესწავლა? ეს, ჩემი აზრით, უფრო მეტად დაგაახლოებდათ ხალხთან, საზოგადოებასთან და ხელისუფლებასთან. გმადლობთ!**

**სეიედ ალი მოჯანი:** – ვრცელი კითხვაა და შევეცდები ყველას ვუპასუხო. ბოლო შეკითხვიდან დავიწყებ: საქართველოს ძალიან კარგად ვიცნობ, მაგრამ სამწუხაროდ, ქართული ენა არ ვიცი. იქიდან გამომდინარე, რომ ვარ ისტორიკოსი, ვმუშაობდი ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრის არქივში, ბუნებრივია, მქონდა შესაძლებლობა ბევრ ისტორიულ დოკუმენტთან მქონოდა წვდომა და შესაბამისად, ბევრი ინფორმაცია მაქვს ირანის ურთიერთობებზე სხვადასხვა ქვეყნებთან და მათ შორის საქართველოსთანაც. ვიდრე ელჩად დავინიშნებოდი, არაერთხელ ვარ ნამყოფი საქართველოში. ჩემი პირველი ვიზიტი იყო 1992 წელს, როცა საქართველოს ახალგამოცხადებული ჰქონდა დამოუკიდებლობა. ეს იყო მძიმე 90-იანი წლების პერიოდი, ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისები, თუმცა ხალხი განწყობილი იყო ოპტიმისტურად, მომავლის იმედით.

მაშინ ახალგაზრდა დიპლომატი ვიყავი და ჩამოვედი აქ, რომ მენახა, რა ხდებოდა ამ ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში, რა ხდებოდა ოპერის, ზოგადად თეატრის, ბიბლიოთეკების არქივების მიმართულებით; მაშინ შევხვდი ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს და შევთანხმდით 2500 სხვადასხვა თემატიკის წიგნის გადმოცემაზე. ეს წიგნები დღეს ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროში ინახება და ჩვენი მკვლევრები მათ სხვადასხვა სამეცნიერო კვლევებისას იყენებენ.

ბუნებრივია, დიპლომატიური სამსახურის ფორმატმა არ მომცა საშუალება, რომ მუდმივად მემუშავა რეგიონზე და კერძოდ, საქართველოზე, თუმცა სხვადასხვა მისიებში მოღვაწეობისას მე ვაგრძელებდი რეგიონის შესწავლას.

რაც შეეხება ირანის საგარეო პოლიტიკას და ურთიერთობებს. ჩვენი ურთიერთობა საქართველოსთან არის ერთგვარი შემავსებელი ირანის ურთიერთობისა რეგიონის სხვა ქვეყნებთან და არ შეიძლება ვთქვათ, რომ ერთ ქვეყანასთან ურთიერთობა ანაცვლებს სხვა ქვეყანასთან ურთიერთობას.

სხვათა შორის, (**20 იანვარს.** – ავტ.) კანადის პრემიერმა საინტერესო რამ თქვა. მისი თქმით, დღესდღეობით, სამყარო არის სრული უწესრიგობის წინაშე, რაც საფრთხეს უქმნის საერთაშორისო წესრიგს. კავკასიის რეგიონი, კერძოდ, ამიერკავკასია და ირანი საკმაოდ მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან და უსაფრთხოების თვალსაზრისით ჩვენი თანამშრომლობა აუცილებელია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ შევძლოთ რეგიონში სიტუაციის სტაბილურობა, სიმშვიდე და განვითარება.

საგარეო პოლიტიკაში ჩვენ არ ვცდილობთ რომელიმე ქვეყნის შეზღუდვას ან მასზე გავლენის მოხდენას, ასეთი დამოკიდებულება გვაქვს საქართველოს მიმართაც. როგორც გითხარით, ჩვენ არავის მივუთითებთ, როგორ და საით მიმართონ პოლიტიკური ვექტორები, ყველა ქვეყანას აქვს სუვერენული უფლება, გადაწყვიტოს, ვისთან როგორი ურთიერთობა ექნება, თუმცა არსებობს ერთი წითელი ხაზი: ჩვენ არ გვინდა, რომ ჩვენს მიმართ მტრულად განწყობილმა სახელმწიფოებმა ირანის მეგობარი ქვეყნების რესურსები ჩვენ წინააღმდეგ გამოიყენონ.

საგარეო პოლიტიკაში ჩვენი მთავარი პრიორიტეტი არის კონფლიქტების შემცირება, ნდობის ამაღლება და სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაძლიერება. საქართველოსთან დაკავშირებით ირანის პრიორიტეტები კიდევ ერთხელ მკაფიოდ ჩამოვაყალიბეთ და განვსაზღვრეთ, როცა წამოსვლამდე შევხვდი ქვეყნის პრეზიდენტს მასუდ პეზეშკიანს. მან თქვა: ჩვენი მთავარი მიზანი არის მუშაობა ეკონომიკური მიმართულებით, რაც, საბოლოო ჯამში, რეგიონის განვითარებას განაპირობებსო.

4-5 წლის წინ ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ გავრცელდებოდა გლობალური კოვიდვირუსი, ან დავდგებოდით უკრაინის ომის წინაშე და ყოველივე ეს მთლიანად შეცვლიდა მსოფლიო ეკონომიკასა და ვაჭრობას, ვერ წარმოვიდგენდით, რომ შუა რეგიონი სერიოზული კრიზისებისა და კონფლიქტების წინაშე დადგებოდა. ვერც ევროპა წარმოიდგენდა, რომ აშშ გრენლანდიაზე განაცხადებდა პრეტენზიას და ჩრდილი მიადგებოდა ევრო-ატლანტიკურ სივრცეში თანამშრომლობას. თუმცა აღმოვჩნდით ამ რეალობის წინაშე; ამიტომ ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია, მჭიდრო თანამშრომლობა და უსაფრთხოების ჯაჭვის შექმნა. ბუნებრივია, ყველა რესურსი და შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ, რომ განვავითაროთ რეგიონი, განვავითაროთ ჩვენი ქვეყნები, ვითანამშრომლოთ ენერგეტიკის სფეროში – გაზის, ელექტროენერგიის მიმართულებით და ა.შ.

თქვენ ირანის ინტერესებზეც მკითხეთ სამხრეთ კავკასიაში. გეტყვით, რომ ირანი რეგიონში გეოგრაფიული და ტერიტორიული მთლიანობის დაცვისკენ მიისწრაფვის, ასევე დაინტერესებული ვართ რეგიონში არსებული კონფლიქტების გადაწყვეტით. მოგეხსენებათ, რომ მათ შორის ზოგი პრობლემა უკავშირდება საბჭოთა პერიოდს, ზოგი – უფრო შორიდან იღებს სათავეს...

ჩვენი ინტერესია, აგრეთვე, ხელი შევუწყოთ რეგიონში ეთნიკური ჯგუფების მშვიდობიან თანაცხოვრებას და განვითარებას. მაგრამ ყველას გვაქვს საერთო მიზანი – ეს არის მშვიდობა, ამიტომ შეუძლებელია ერთმანეთის მიმართ უნდობლად ვიყოთ განწყობილი. საქართველომ და ირანმა ერთად უნდა ვიღვაწოთ მშვიდობისთვის რეგიონში.“

**ირინა გურიელი**

# 20 იანვრის ხოცვა-ჟლეტის 36-ე წლისთავთან დაკავშირებით, ქალაქ რუსთავში ღონისძიება გაიმართა

**19 იანვარს, აზერბაიჯანელი ხალხის, მშვიდობიანი მოსახლეობის 1990 წლის 20 იანვრის ხოცვა-ჟლეტის 36-ე წლისთავის აღსანიშნავად, ქალაქ რუსთავის განათლებისა და კულტურის ცენტრში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.**

მოწამეთა ხსოვნისადმი წუთიერი დუმილის შემდეგ, ცენტრის ხელმძღვანელმა რაიდა დარზიევამ ისაუბრა 20 იანვრის მიერ აზერბაიჯანელი ხალხის თავისუფლების გზაზე შესრულებულ ფასდაუდებელ როლზე.

თავის გამოსვლაში მან აღნიშნა, რომ ბაქოში 20 იანვრის მოვლენების შემდეგ, აზერბაიჯანელი ხალხის ეროვნულმა ლიდერმა ჰეიდარ ალიევმა, რომელიც ბაქოში მომხდარი მოვლენების შემდეგ მოსკოვში აზერბაიჯანის მუდმივ წარმომადგენლობას ეწვია, პრესკონფერენციაზე მკაცრად დაგმო ეს სისასტიკე და ხალხის წინააღმდეგ ჩადენილ ტერორს კანონის, დემოკრატიისა და კაცობრიობის საწინააღმდეგო ქმედება უწოდა. ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის დიდმა ლიდერმა ასეთი განცხადება საბჭოთა იმპერიის დროს გააკეთა, ამ სასტიკი ხოცვა-ჟლეტის შესახებ მთელი მსოფლიოს ცნობიერების ამაღლებას აჩქარებს.



შემდეგ მწერლებმა რაფიგ ჰუმმეტმა და სავალან ოსმანლიმ ღონისძიების მონაწილეებს „სისხლიანი იანვრის“ მოვლენების რეალური ბუნების შესახებ უამბეს და ამ მოვლენების მიზეზებსა და შედეგებზე ვრცელი ინფორმაცია მიაწოდეს.

**ღონისძიებაზე ასევე გულითადი სიტყვებით გამოვიდნენ ქალაქ რუსთავის მე-18 სკოლის მასწავლებლები სვეტა ისაევა, ნურლანა ალიევა და ალიდა კაზიმოვა. შემდეგ ცენტრის აზერბაიჯანული ენის კათედრის მოსწავლეებმა მათ მიერ მომზადებული ლიტერატურული და მხატვრული კომპოზიცია წარმოადგინეს. ბოლოს, ღონისძიების მონაწილეებისთვის 20 იანვრის მოწამეთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ვიდეორგოლი აჩვენეს. ღონისძიებას ცენტრის თანამშრომლები, მასწავლებლები და მშობლები დაესწრნენ.**

**ნარიმან ალიევი**



# თბილისის გულში



**სასტუმრო რედისონი ზოგისთვის ივერიად რჩება, რომელიც უფროსი თაობისთვის ტკბილ მოგონებებთან ასოცირდება, თუმცა, მთავარი ის გახლავთ, რომ ეს პოპულარული ობიექტი ჩვენს დღეებშიც განაგრძობს საინტერესო ღონისძიებათა მასპინძლობას.**

ამჯერად რესპუბლიკის მოედანზე საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ მიგვიწვია, სადაც 2025 წლის თბილისის საუკეთესო სპორტსმენები 5 ნომინაციაში გამოვლინდნენ.

დაჯილდოების ცერემონიის დაწყებამდე სტუმრებმა მოთელვა ფურშეტით გაიარეს, უმთავრეს მოვლენაზე შესულთა განწყობაზე კი ჩვეული ოსტატობით იზრუნეს საყვარელმა წამყვანებმა-**მანიკა ასათიანმა, დიმა ობოლაძემ** და მუსიკალური ნომრების ნორჩმა შემსრულებლებმა, მათ შორის ამასწინანდელი საბავშვო ევროვიზიის მე-3 პრიზიორმა **ანიტა აზგარიანმა.**

შეკრებილ საზოგადოებას მიესალმნენ დედაქალაქის მერი **კახი კალაძე,** საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ბექა დავითულიანი,** პარასპორტის ფედერაციის პრეზიდენტი **რატი იონათამიშვილი,** რაგბის კავშირის თავკაცი **დავით კაჭარავა** და ლაურეატთა დასახელებაც დაიწყო.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ორგანიზატორთა და ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგები მამაკაცთა კატეგორიაში, სადაც ხმლით ფარიკაობაში მსოფლიოს ჩემპიონმა **სანდრო ბაზაძემ** თითქმის ყველა პრესტიჟული საფეხბურთო ტურნირის მომგებ **ხვიჩა კვარაცხელიას** გაუსწრო.

### დანარჩენი რჩეულნი:

**სპორტსმენი ქალი-ეთერ ლიპარტელიანი (ძიუდო).**

**პარასპორტსმენი მამაკაცი-გიორგი ქალდანი (პარაძიუდო).**

**პარასპორტსმენი ქალი-ნინა თიბილაშვილი (პარაფარიკაობა).**

**პროექტი-სასკოლო ლიგა.**

**დასკვნის სახით დავძენთ, რომ ორატორები მადლიერებას არ იშურებდნენ მთავრობისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელთა მიმართ, რომელთა ძალისხმევითა და თანადგომითაც გასულ სეზონში შესაძლებელი გახდა ტიტულებისა და მედალთა სარეკორდო რაოდენობების მოხვეჭა, მომავალ წარმატებათა მოსაპოვებლად კი მერიამ სტიმულირების სახით უამრავ ღირსეულ სპორტსმენს გამოუყო ფულადი პრიზი.**



# „სწავლა მოსწავლეთა“

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტებმა ალექსანდრე იაშვილმა და ზაზა ზამთარაძემ, საქართველოს ვაჟთა ასაკობრივი გუნდების სამწვრთნელო შტაბებთან ერთად, მიხეილ მესხზე მეორე სამუშაო შეხვედრა გამართეს.**

პირველ სამუშაო შეხვედრაში ერთიანი სათამაშო კონცეფციის შესახებ 21-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **რამაზ სვანაძემ** ისაუბრა.

მეორე სამუშაო შეხვედრის ფარგლებში კი 17 და 19-წლამდელთა ასაკობრივი გუნდების მწვრთნელებმა – **ვასილ მაისურაძემ, გიორგი ჩიტაურმა** და **ალექსანდრე კობახიძემ** საკუთარი ხედვა პრეზენტაციებით წარადგინეს, სადაც საუბარი ბოლო ოთხწლიან ციკლს მოიცავდა. მთავარ მწვრთნელებთან ერთად, მეორე სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს მთავარი მწვრთნელების ასისტენტებმა და ნაკრებების ანალიტიკოსებმა.

# კვალი მაინც დავტოვეთ



**მართალია, ხელბურთელთა ევროპის ჩემპიონატი უჩვენოდ გრძელდება, მაგრამ საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა შვედეთში გამართულ სამივე მატჩში ღირსეულად დამარცხების მიუხედავად მფრინავი კავკასიელების ზედმეტსახელი მაინც დაიმსახურა.**

უფრო მეტიც-ჯვაროსანთა 24 წლის ლიდერი **გიორგი ცხოვრებაძე** პორტუგალიელ **ფრანსიშკუ კოშტასთან** ერთად 29 გოლით ტურნირის ჯგუფური რაუნდის თანაბომბარდირი გახდა (ხორვატებთან – 29:32, 11 ბურთი, მასპინძლებთან, 29:38, 7 ბურთი და ნიდერლანდებთან-26:31, 11 ბურთი, თანაც პირველი შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა).

**ობიექტურობისთვის დავძენთ, რომ კოშტამ უფრო მაღალი ეფექტურობა აჩვენა, რადგან ამ შედეგისთვის 43 მცდელობა დასჭირდა (სიზუსტე 67,4 პროცენტი), ხოლო გიორგის-47 დარტყმა (61,7 პროცენტი).**

# ორიანები კვადრატში

**ქართველ კალათბურთელ ლეგიონერთა შეუჩერებელი სვლის პროცესი მწვერვალებისკენ გრძელდება. ისინი მიჯრით ატარებენ შესანიშნავ მატჩებს როგორც ოკეანის გაღმა, ისე გამოღმა და თავიანთი გუნდების ლიდერებად ყალიბდებიან.**

**ნბა.** აღმოსავლეთ კონფერენცია. რეგულარული სეზონის 46-ე ტური. საკრამენტო-ტორონტო 109:122. **სანდრო მამუკელაშვილმა** 32 წუთში სტუმრებს 22 ქულა, 9 მოხსნა და 4 ასისტი შეაწია, რითაც ორმაგ დუბლამდე მხოლოდ 1 მოხსნა დააკლდა. მან 8-დან 3 სამქულიანი, 6-დან 5 ორქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ტყორცნა ჩააგდო.



ამ გამარჯვებით კანადური კლუბი მე-4 ადგილზე დამკვიდრდა (27 მოგება, 19 წაგება), მომდევნო შეხვედრას კი პორტლენდთან გამართავს.

**ევროლიგა.** რეგულარული სეზონის 24-ე ტური. ლიონი-ბარსელონა 91:98. **თორნიკე შენგელიამ** 22 წუთში 22 ქულა, 5 მოხსნა და 3 ასისტი მოაგროვა. იგი კატალონიელ პარტნიორთა შორის შედეგიანობით მხოლოდ 31-ქულიან პანტერს ჩამორჩა.

სატურნირო ცხრილში ორხელისუფლებიანობაა მას შემდეგ, რაც ყოფილმა ერთპიროვნულმა ლიდერმა თელ ავივის ჰაპოელმა ბელგრადში 27-ქულიანი უპირატესობა გაფლანგა პარტიზანთან და დამატებით დროში 101:104 დამარცხდა.

სხვათა შორის, შარშანდელ ტურნირში კაუნასის ჟალგირისმა იტალიაში ასევე 27-ქულიანი ჩამორჩენა ამოუქაჩა მილანს.

**გათამაშების ცხრილი:** ჰაპოელი, ფენერბახჩე-7, რეალი, ბარსელონა, ოლიმპიაკოსი-8, მონაკო, ვალენსია-9, ჟალგირისი, პანათინაიკოსი, ცრვენა ზვეზდა-10, ვირტუსი, დუბაი, მილანი-13, მაკაბი-14, ბაიერნი-15, ბასკონია, პარტიზანი, პარიზი-16, ლიონი, ეფესი-18 წაგება.

**28 იანვარს ბერძნულ პირეოსში დიდი ომია: ოლიმპიაკოსი-ბარსელონა!**

# ვეტერანისა და მამის ამპლუაში

**ლეგენდარულმა სერბმა ჩოგბურთელმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა ავსტრალიის ღია პირველობის მეორე წრეში რეიტინგის 141-ე ნომერ ფრანჩესკო მაესტრელის 6:3, 6:2, 6:2 დამარცხების შემდეგ ჩვეული გულახდილობით ისაუბრა მოტივაციაზე, კარიერის დასრულების ვადებსა და ვაჟ სტეფანზე:**

**– ყოველთვის გააზრებულად შრომას ვცდილობ. შარშანდელის მსგავსად, წელსაც უფრო ხანგრძლივი წინასასეზონო მომზადება გავიარე. როცა მეტი დრო გაქვს, საკუთარ თამაშსა და იმ ასპექტებს აანალიზებ, რომელთა გაუმჯობესებაც შესაძლებელია. სხვა შემთხვევაში, ამას რა აზრი აქვს? რა აზრი აქვს კორტზე გასვლასა და თამაშს, თუ წინა სეზონთან შედარებით უკეთესი დონის მიღწევას არ ცდილობ? ეს სწორედ ის განწყობაა, რომელსაც ვინარჩუნებ. ეს მიდგომა ამ ასაკში უმაღლეს დონეზე თამაშის საშუალებას მაძლევს...**

**...მოხარული ვარ, რომ წინასასეზონო პერიოდში გაწეულ შრომას უკვე მოაქვს შედეგი. ტურნირი ჯერ მხოლოდ ახლა დაიწყო. დიახ, მე არცერთი მოსამზადებელი შეკრება არ ჩამიტარებია, ამიტომ იმით, როგორც ახლა ვთამაშობ, იმის გათვალისწინებით, რომ ორ თვეზე მეტია ოფიციალური მატჩი არ მქონია, კმაყოფილი ვარ. ჯერჯერობით ყველაფერი პოზიტიურადაა და ასეთივე სულისკვეთებით გაგრძელებაა საჭირო...**

**...რაც შეეხება ჩემ მომავალს, ასე ვიტყოდი: ვფიქრობ, გაელ მონფილსმაც და სტენ ვავრინკამაც ძალიან, ძალიან დიდი მემკვიდრეობა დატოვეს და ეს არა მხოლოდ მოთამაშეებმა, არამედ როგორც ადამიანებმაც შეძლეს. ისინი გასახდელში წარმოუდგენლად სასიამოვნო პიროვნებები არიან. მათ ბევრი მეგობრები ჰყავთ და. თითოეულის მიმართ უდიდესი პატივისცემა გამაჩნია. ჩვენ გამაოგნებელი ბრძოლები გვქონდა. მონფილსი ჩემზე ერთი წლით უფროსია, ვავრინკა კი-ორით. ასე რომ, ვფიქრობ, მე კიდევ მინიმუმ ორი წელი ვითამაშებ...**

**...როცა მამა გავხდი, ვოცნებობდი, როდის დადგებოდა ის დრო, როდესაც ჩემი შვილები გაიზრდებოდნენ და გააცნობიერებდნენ, რას აკეთებს მათი მამა. ახლა ძალიან ბედნიერი მშობელი ვარ. ჩემ ბიჭს აქ ყოფნა სურდა. ის ყველაფრისთვის მზადაა, ოღონდაც სკოლაში არ წავიდეს და მე მესმის მისი... ამბობს ჯოკოვიჩი.**



# „ბუნება მბრძანებელია“...

**ბოლო დროს გაუარესებული კლიმატური პირობების გამო, კროკობეტ დიდი 10-ის განახლება ერთი კვირით გადაიდო.**

XIII ტურის თამაშები 30 იანვარს უნდა დაწყებულიყო, დღევანდელი მოცემულობით კი ჩემპიონატი 6 თებერვლიდან დაბრუნდება. ამ დღეს დედაქალაქურ დერბიში „არმია“ „წიქარას“ „რაგბი პლატოზე“ 15 საათზე დაუხვდება.

7 თებერვალს ორი თამაშია ჩანიშნული: სტეფანწმინდის „ყაზბეგი“ გორის „გორს“ „ავჭალაზე“ 14 საათზე ეთამაშება, ხოლო თბილისის „ხვამლი“ ქუთაისის „აიას“„ხვამლი არენაზე“ 16 საათზე უმასპინძლებს.

ტური 8 თებერვალს ასევე ორი შეხვედრით დასრულდება: „არესი“ ქუთაისის „აია არენაზე“ რუსთავის „ხარებს“ 14 საათზე შეებმება, 16 საათზე კი თბილისის „ლელო“ „ლელო არენაზე“ „ბათუმს“ მიიღებს.

# მოციქულთა სწორი ქალწული ნინო –ქართველთა განმანათლებელი



**27 იანვარს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ქალწულ ნინოს, ჩვენს წმინდა დედას, მოციქულთა თანასწორსა და ქართველთა განმანათლებელს.**

ცნობილია, რომ საქადაგებლად წმინდა მარიამს ხვდა იბერია, მაგრამ როდესაც დედა ღვთისამ დააპირა საქართველოსკენ წამოსვლა, მას ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: **„ნუ განეშორები იერუსალიმს. ხვდომილი ქვეყანა შენი განახლდების მომავალში, შენი მეუფება განემტკიცების იქ“.**

წმინდა მარიამმა გამოარჩია კეთილმორწმუნე კაბადოკიელი წმინდა ასული–ნინო, რომელსაც ოცნებად ჰქონდა გადაქცეული იმ ქვეყნის ნახვა, სადაც მაცხოვრის წმინდა კვართი ინახებოდა და ევედრებოდა ღვთსმშობელს, დახმარებოდა ამ წმინდა მიზნის განხორციელებაში. კეთილად აუხდა ოცნება ნინოს; ღვთისმშობელი გამოეცხადა და უთხრა: „ გაემგზავრე იბერიაში, დაამკვიდრე იქ სახარება და ვიქნები შენი შემწე“. მერე ვაზის ტოტების ჯვარი გადასცა მას და დასძინა: **„ ეს იქნება შენი მფარველი ყოველი ხილული და უხილავი მტრის წინააღმდეგ, გაჭირვებაში... ძალითა ჯვარითა დაამყარებ იქ სიტყვას ძისა ჩემისასა, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი“.**

ნინოს გამოეღვიძა... ხელში სწორედ ის ჯვარი იხილა, რაც მას ღვთისმშობელმა მისცა, ამ ჯვარმა უწინამძღვრა ნინოს ქრისტეს რჯულზე მოექცია ქვეყანა, თვით ნანა დედოფალი და მეფე მირიანი, შემდეგ კი – მთიანეთელები...

**გიული ლიპარტია**




# 19 თებერვალს ბათუმი პოეტ თინათინ მღვდლიაშვილის საღამოს უმასპინძლებს

**19 თებერვალს ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში პოეტ თინათინ მღვდლიაშვილის საღამო გაიმართება. ყველასთვის საყვარელი პოეტი ქართული ესტრადის გამორჩეულ ვარსკვლავებთან ერთად, საზოგადოებას წარუდგენს იმ უკვდავ შემოქმედებას, რომელმაც ათწლეულებს გაუძლო და ხალხურ ჰიმნებად იქცა.**

საღამოზე აჟღერდება სულის შემძვრელი ჰანგები, რომლებიც სხვადასხვა დროს ფილარმონიის დარბაზში ჟღერდა და მაყურებელი აღტაცებაში მოჰყავდა.

თინათინ მღვდლიაშვილის შემოქმედებას ეკუთვნის ისეთი ცნობილი ლექსები, როგორიცაა: **„ქართველები არ კვდებიან“, „ხმალი ავლესოთ, ქართველებო!“, „აღმაშენებელი თბილისში მობრძანდება“, „დადეთ იარაღი, ბიჭებო!“, „მარტოხელა, მარტოსულო ქალბატონო“ და მრავალი სხვა.**



## ღრმაღელესა და ნიგვზიანში

# ახალი საბავშვო ბაღები გაიხსნა

**„საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ყველა მუნიციპალიტეტში შესაბამისი სერვისების ხელმისაწვდომობა, მათ შორის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების. დღეს სოფელ ღრმაღელესა და ნიგვზიანში დავათვალიერეთ საბავშვო ბაღები, რომლებიც უკვე ორშაბათიდან მიიღებენ აღსაზრდელებს. აქტიურად გავაგრძელებთ მუშაობას გურიის რეგიონში მსგავსი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისთვის. ამასთან, არსებობს გარკვეული გამოწვევები შეჩერებულ მშენებლობებთან დაკავშირებით, რაც რიგი სამშენებლო კომპანიების პასუხისმგებლობას უკავშირდება – ზოგიერთ შემთხვევაში დაწყებულია სისხლის სამართლის წარმოებაც. ვმუშაობთ, რათა შეჩერებულ ობიექტებზე სამშენებლო სამუშაოები დროულად განახლდეს“,** – ამის შესახებ ინფრასტრუქტურის მინისტრმა **რევაზ სოხაძემ** გურიის რეგიონში ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგის შემდეგ 24 იანვარს განაცხადა.

გურიის რეგიონში, სოფელ ღრმაღელესა და ნიგვზიანში ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა დაასრულა. სააღმზრდელო პროცესი ახალ ბაღებში ორშაბათიდან დაიწყება. დასრულებული პროექტები საქართველოს ინფრასტრუქტურის მინისტრმა რევაზ სოხაძემ მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელ დირექტორ ზექა ურუშაძესთან, გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ გიორგი ღურჯუმელიძესთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მოინახულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრმაღელეში დასრულდა 50 ბავშვზე, ხოლო სოფელ ნიგვზიანში — 75 აღსაზრდელზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობილ შენობებში გათვალისწინებულია სკოლამდელი განათლებისთვის აუცილებელი ყველა პირობა – სასწავლო, საძინებელი და ადმინისტრაციული ოთახები, სამზარეულო, შიდა და გარე სათამაშო ზონები და რეკრეაციული სივრცეები.

ახალ საბავშვო ბაღებში ბავშვებისთვის შეიქმნა უსაფრთხო, კომფორტული და მათ განვითარებაზე ორიენტირებული გარემო. მინისტრი ასევე გაეცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებში 150 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის პროცესს. პროექტი ითვალისწინებს ბავშვების განათლების, სოციალიზაციისა და უსაფრთხოებისთვის აუცილებელი პირობების შექმნას.

# დააკავეს მოზარდი, რომელსაც მისალმების ფორმა არ მოეწონა და თანატოლი დაჭრა!

**საინფორმაციო სააგენტო „ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, რუსთავი მოლთან მომხდარი სისხლიანი გარჩევა, ორ ნაცნობს შორის მისალმების ფორმის გამო დაიწყო.**

არსებული ინფორმაციის თანახმად, ერთ-ერთ მოზარდს თან ახლდა ნაცნობი, რომლის მისალმების ფორმა მოზარდისთვის მიუღებელი იყო. ამის შედეგად ნაცნობებს შორის დაიწყო კამათი. დაპირისპირების დროს მოზარდმა თანატოლი ცივი იარაღით, ხელის არეში დაჭრა. პოლიციამ შეიარაღებული პირი ცხელ კვალზე დააკავა. გამოძიება 177-ე მუხლით არის დაწყებული. დაშავებული მოზარდის მდგომარეობა სტაბილურია. ქალაქის ცენტრში მოზარდის დაჭრის ინციდენტი, გუშინ საღამოს საათებში მოხდა.

# „ორივე მანქანაში ჩაცხრილეს...“

**ცნობილია მუხრანში მოკლულების ვინაობა. მუხრანში ორი კაცი მოკლეს – ზურა სამანაშვილი და გია ქილარჯიანი.**




არსებული ინფორმაციით, ორივე მათგანი მანქანაში ჩაცხრილეს. როგორც „პრაიმტაიმს“ შსს-ში უთხრეს, მომხდარზე დაწყებულია გამოძიება ორი მუხლით, 109-ე და 236-ე, რაც დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარებას გულისხმობს. ჯერჯერობით მომხდართან დაკავშირებით სხვა დეტალები არ ხდება ცნობილი.

# ქუთაისის აეროპორტში დიდი ოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერებები აღმოაჩინეს!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში შემოტანის ბრალდებით ორი პირი: 1974 წელს დაბადებული შ.კ. და წარსულში ნასამართლევი, 1975 წელს დაბადებული რ.მ. სხვადასხვა დროს დააკავეს,** – ინფორმაციას შსს ავრცელებს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 261-ე და 263-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, – აღნიშნულია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ბათუმში ქალმა მასთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი კაცი დანით დაჭრა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, 1988 წელს დაბადებული უცხო ქვეყნის მოქალაქე მ.ს. ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

**„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ბათუმში, მასთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირს – 1991 წელს დაბადებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეს ქ.ი.-ს დანის გამოყენებით გულ-მკერდის არეში ჭრილობები მიაყენა. დაჭრილი მამაკაცი შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის მიზნით კლინიკაში მოათავსეს. პოლიციამ მ.ს. ბრალდებულის სახით, ცხელ კვალზე დააკავა. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“.**

# სექსმუშაკებზე მოთხოვნა დავოსის ფორუმზე მკვეთრად გაიზარდა

**დავოსში, წლევანდელი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიმდინარეობისას, სექსმუშაკებზე მოთხოვნა რეკორდულად გაიზარდა, მათ შორის, ერთმა კლიენტმა, სავარაუდოდ, ოთხი დღის განმავლობაში ხუთ ქალთან ერთად ყოფნაში შთამბეჭდავი –114,000 დოლარი გადაიხადა,** – ამის შესახებ New York Post-ი, შვეიცარიულ გამოცემა „20 Minutes“-ზე დაყრდნობით წერს.

სტატიის თანახმად, გლობალური ელიტის „მუშაობა ბოლომდე, გართობა ბოლომდე“ დამოკიდებულება აშკარად გამოიკვეთა შვეიცარიულ ქალაქში ესკორტებისადმი გაძლიერებულ მოთხოვნაში. შვეიცარიული გაცნობისა და ეროტიკული სერვისების პლატფორმა თიტტ4თატ-ის ცნობით, გლობალური ლიდერების, დიდი ტექნოლოგიური კომპანიების აღმასრულებელი დირექტორებისა და შეძლებული მაგნატების ჩამოსვლამ სექსმუშაკებზე მოთხოვნა მკვეთრად გაზარდა.



**„ეროტიკული სერვისების მოთხოვნებმა 19 იანვარს, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გახსნის დღეს, 79-ს მიაღწია, რაც შოკისმომგვრელ 4,000 %-იან ზრდას ნიშნავს, იუწყება შვეიცარიული გამოცემა „20 Minutes“. პლატფორმა Titt4Tat-მა, რომელიც სექსმუშაკებს პოტენციურ კლიენტებთან აკავშირებს, განაცხადა, რომ კონფერენციამდე დავოსში საშუალოდ დღეში მხოლოდ ორი დაჯავშნა ფიქსირდებოდა ყოველწლიურად.“** – წერს New York Post-ი. რეგიონული ფრანგული გაზეთის „La D p che“-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოცემა წერს, რომ სექსმუშაკებს შორის იყვნენ სტუდენტები, მასწავლებლები და მოგზაურებიც, რომლებიც შეძლებული, გავლენიანი პირებისგან რამდენიმე დამატებითი დოლარის შოვნას ცდილობდნენ.



# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია მალე 85 წლის გახდება

**საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის გივი მიქანაძის ხელმძღვანელობით მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 85 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების განსახორციელებლად შექმნილი კომისიის მორიგი სხდომა გაიმართა,** – ინფორმაციას განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს.

სხდომაში მონაწილეობდნენ საქართველოს კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე და კომისიის თანათავმჯდომარე, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი როინ მეტრეველი.

შეხვედრის მონაწილეებმა ფართომასშტაბიანი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, დეტალური სამოქმედო გეგმა განიხილეს და შესაბამის აქტივობებზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებები განსაზღვრეს. საიუბილეო ღონისძიებების კონცეფცია ეფუძნება მეცნიერების როლის წარმოჩენას ქვეყნის ისტორიულ და საზოგადოებრივ განვითარებაში, გამორჩეული მეცნიერების ღვაწლის დაფასებას, ახალგაზრდა მეცნიერების მოტივაციის ზრდას, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობისა და პარტნიორობის გაძლიერებას.

**სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე ზვიად გაბისონია და სხვადასხვა სახელმწიფო უწყების,სამეცნიერო-კვლევითი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები.**

**მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 85 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, უწყებათაშორისი კომისია საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი კობახიძის ინიციატივით შეიქმნა.**



# დიდი ივანე ჯავახიშვილის საიუბილეოდ!

**საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის გივი მიქანაძის ხელმძღვანელობით ივანე ჯავახიშვილის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებების განსახორციელებლად შექმნილი კომისიის პირველი სხდომა გაიმართა.**

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, მინისტრმა ქართველი ისტორიკოსის გამორჩეულ მოღვაწეობაზე ისაუბრა და საიუბილეო თარიღის ეროვნულ დონეზე, ღირსეულად აღნიშვნის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით ასევე მიმართა კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა **ჯაბა სამუშიამ.**

სხდომის წევრებმა ივანე ჯავახიშვილის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებების კონცეფციის, პროგრამის, დაგეგმვის, საორგანიზაციო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების საკითხები განიხილეს.

სხდომას ესწრებოდნენ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე **ზვიად გაბისონია,** მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი **როინ მეტრეველი** და სხვადასხვა სახელმწიფო უწყების, სამეცნიერო ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების წარმომადგენლები.

# ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში პროგრამას იტალიელი და ქართველი პროფესორები უძღვებიან



**ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის (KIU) სტუდენტების მიერ შექმნილი ნამუშევრები, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში პირველად გამოიფინა,** – ინფორმაციას ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი ავრცელებს.

მათივე ცნობით, ექსპოზიციაზე წარმოდგენილია არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და დიზაინის სკოლის (AUD) პირველკურსელთა მიერ შექმნილი ვიზუალური კვლევის შედეგები, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტების გაცნობას დიზაინის კულტურის ძირითად პრინციპებთან.

გამოფენა სიტყვით გახსნეს KIU-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქის დირექტორმა **ვახტანგ ცაგარელმა** და მუზეუმის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა **ნონა ქარციძემ.** ღონისძიებას დაესწრნენ: KIU-ს კანცლერი **ლევან კოპალიანი,** არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და დიზაინის სკოლის (AUD) ხელმძღვანელი **მარიამ ბოჭორიშვილი,** ქართველი და უცხოელი პროფესორები, სტუდენტები, მშობლები, მოწვეული სტუმრები. ნამუშევრები იკვლევს კომპოზიციისა და დიზაინის სფეროს თეორიებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გეომეტრიულ-ინტუიციურ და აღქმის პრინციპებს; ფოკუსირდება სივრცულ ურთიერთობებზე, მოძრაობასა და ფორმა-ფერის ურთიერთქმედებაზე. მნიშვნელოვანი ადგილი ქართულ ანბანს დაეთმო.

**„KIU-ს დიზაინის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა, რომელიც 2025 წლის სექტემბრიდან დაიწყო, შემუშავებულია ნეაპოლის ფედერიკო II-ის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. პროგრამას უძღვებიან ქართველი და იტალიელი პროფესორები“,** – წერია ინფორმაციაში.

# საქართველოში დღეს 130 ქალი მეზღვაურია!
# ნათია ლაბაძე საქართველოში პირველი ქალი კაპიტანი გახდა

**საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ, როგორც ქვეყნის ეროვნულმა საზღვაო ორგანომ, ნათია ლაბაძეს კაპიტნის წოდება მიანიჭა,** – ინფორმაციას საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო ავრცელებს.



ნათია ლაბაძე ბათუმის საზღვაო აკადემიის კურსდამთავრებულია. მისი პროფესიული გზა 2015 წელს კადეტობიდან დაიწყო. ამჟამად იგი კონტეინერმზიდ გემზე კაპიტნის თანაშემწედ მუშაობს და მზად არის, ჩაიბაროს გემის კაპიტნის პოზიცია და ეკიპაჟის ხელმძღვანელობა.

ამჟამად საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ 130 ქალი მეზღვაურია სერტიფიცირებული, საიდანაც 120 საკრუიზო გემებზეა დასაქმებული როგორც დამხმარე პერსონალი. რაც შეეხება დანარჩენ 10 ქალ მეზღვაურს, ისინი უშუალოდ მეზღვაურის კომპეტენციას ფლობენ, ოთხი მათგანი ამჟამად შორეულ ნაოსნობაშია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ქალები გასული საუკუნის დასაწყისიდან ცდილობდნენ საზღვაო პროფესიებში დასაქმებას.

# დათო მაღრაძის „ბარაქიანი მიწა“ ინგუშურ ენაზე ითარგმნა




**ცნობილი ქართველი პოეტის დათო მაღრაძის პოეზიის კავკასიის ხალხთა ენებზე თარგმნა გრძელდება.**

აფხაზური, ოსური და ჩერქეზული გამოცემების შემდეგ პოემა ამჯერად ინგუშურ ენაზე გამომცემლობა Saar-მა გამოსცა. მთარგმნელი **ზეინაბ ალბოგაჩიევა,** წიგნის გარეკანზე კი **ალექსანდრე ჩერქეზიშვილის** ფოტოა დატანილი.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა „ფავორიტში“
აბელ ენუქიძის N5
ფავორიტი
სტამბა რომელსაც ენდობი
uac(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 28 იანვარს